გილოცავთ ახალ სასწავლო წელს!

სკოლა ანაბასისის ინგლისური ენისა და ლიტერატურის პედაგოგები ეკატერინე ჩაჩიბაია და ნანა ფერაძე გლობალური განათლების ქსელის კომიტეტის წევრებად აირჩიეს! ვულოცავთ და წარმატებებს ვუსურვებთ მათ!

27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა...
აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად საქართველოს სახელმწიფო დროშები დაშვებულია...
29 წლის წინ, 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა.
აფხაზეთის ომი 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო და 13 თვეს და 13 დღეს გაგრძელდა. სხვადასხვა მონაცემით, შეიარაღებულ დაპირისპირებას ემსხვერპლა 10 000-დან 30 000-მდე ათასამდე ადამიანის სიცოცხლე, 300 ათასზე მეტი კი, დევნილად იქცა.
აფხაზეთის რეგიონში საქართველოს სამთავრობო ძალების შესვლას წინ უძღოდა ადგილობრივი სეპარატისტების მიერ ე.წ. დამოუკიდებლობის გამოცხადება.
აფხაზური ფორმირებების მხარდასაჭერად საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთო რუსეთის სამხედრო ძალები.
სოხუმის დაცემამდე შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა რამდენჯერმე მიაღწიეს სამშვიდობო შეთანხმებას, თუმცა, რუსეთმა და მის მიერ მხარდაჭერილმა სეპარატისტებმა შეთანხმებები დაარღვიეს.
სოხუმის დაცემიდან 15 წლის შემდეგ, 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთმა აფხაზეთი „დამოუკიდებელ რესპუბლიკად“ აღიარა.
ანაბასისში სამოქალაქო კლუბის და ეკოკლუბის წევრებმა მოსწავლეთა თვითმმართველობასთან თანამშრომლობით სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით რამდენიმე აქტივობა განახორციელეს.
1. "წერილი აფხაზ თანატოლს"- დაწყებითი სწავლების საფეხური.
2. საინფორმაციო პრეზენტაცია- "ჩვენ დავბრუნდებით"-საბაზო საფეხური.
3. დოკუმენტური ფილმის ჩვენება და დისკუსია-საბაზო და საშუალო საფეხური.
ანაბასისელები კარგად აცნობიერებენ, რომ აფხაზეთი დროებით ჩამოაშორეს საქართველოს და ნატრობენ მალე იხილონ გაერთიანებული და გაძლიერებული სამშობლო.
პედაგოგები თეა სამხარაძე,ქეთევან ედიბერიძე.

სკოლა ანაბასისში პროექტი „ვაქციოთ სკოლა გენდერული პასუხისმგებლობის მქონე დაწესებულებად“ აქტიურად მიმდინარეობს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) და UNFPA პროექტის „EU4 გენდერული თანასწორობა: ერთად სტერეოტიპებისა და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ“ ფარგლებში პარტნიორი ორგანიზაციის, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის (CCIIR) ორგანიზებით, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით".
ამჟამად ანაბასისელებმა საინფორმაციო შეხვედრა გამართეს, სადაც ისაუბრეს მდგრადი განვითარების მიზნებიდან N5 მიზანზე: გენდერული თანასწორობა.
შეხვედრის მიზანი იყო სკოლის მოსწავლეებში გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, სტერეოტიპების დამარცხებასა და გენდერული განსხვავებების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების განმტკიცებისთვის ხელშეწყობა.
მოსწავლეებმა საინტერესოდ წარმოადგინეს საკუთარი შეხედულებები და დამოკიდებულებები გენდერული თანასწორობისა და გენდერული სტერეოტიპების შესახებ;
განიხილეს სიტუაციური ამოცანა „რთული არჩევანი“ და კრეატიულად წარმოადგინეს პრობლემის გადაჭრის გზები როგორც საკუთარი, ისე საპირისპირო სქესის პოზიციიდან;
გასულ კვირას ქურთისტანის პროვინციაში 22 წლის ქურთი ქალი მაჰსა ამინის გარდაცვალების შემდეგ დაწყებული საპროტესტო დემონსტრაციების შესახებ ვიდეო მასალის განხილვის შემდეგ, ანაბასისელებმა იმსჯელეს მსოფლიოში გენდერული თანასწორობის პრინციპების დამკვიდრების აუცილებლობაზე.
შეხვედრის ბოლოს, მათ პროტესტის ნიშნად დახიეს ფურცლებზე დაწერილი სტერეოტიპული შეხედულებები და საინფორმაციო დაფაზე თავიანთი დამოკიდებულებები დააფიქსირეს გენდერული თანასწორობის მნიშვნელობაზე.
პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ვიდეორგოლის მომზადება და საფეხურების მიხედვით საინფორმაციო შეხვედრები;
პედაგოგები თეა სამხარაძე და ქეთევან ედიბერიძე.

ჩვენ გვტკივა აფხაზეთი!

კერძო სკოლა „ანაბასისის“ მოსწავლეები სამეცნიერო პიკნიკზე საინტერესო ექსპერიმენტებით წარდგნენ

„სწავლების კარგად წარმართვაზე დამოკიდებულია, არამცთუ სვე–ბედი მომავლის თაობისა, არამედ სვე–ბედი თვითონ ქვეყნისაც“

5 ოქტომბერს ზესტაფონის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა და ქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობამ პედაგოგის დღესთან დაკავშირებით საუკეთესო მასწავლებლის ტიტული მიანიჭა სკოლა ანაბასისის ნარისხის განვითარების მენეჯერს , ისტორიისა და სამოქალაქო განათლების წარმატებულ პედაგოგს თეა სამხარაძეს. ვულოცავთ ქალბატონ თეას ღირსეულ აღიარებას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს!

დროთა განმავლობაში იცვლებოდა და იცვლება სასკოლო განათლების სისტემა, თეა სამხარაძე ყველა პერიოდში ცდილობს სწავლებაში გამოიყენოს სწავლების თანამედროვე მეთოდები , იზრუნოს მოსწავლეთა როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი მოტივაციის ამაღლებაზე, მოსწავლეთა სააზროვნო უნარების განვითარებასა და სხვადასხვა ორიგინალურ საშინაო დავალების შერჩევაზე, რომელიც მოსწავლეს განუვითარებს როგორც, შემოქმედებით, ასევე კრიტიკულ აზროვნებასაც. თავის საქმიანობაში ყურადღებას ამახვილებს მოსწავლეთა როგორც ფორმალურ,ისე არაფორმალურ განათლებაზე. წლების მანძილზე თეა სამხარაძე წარმატებით ხელმძღვანელობს სხვადასხვა სახის სასწავლო პროექტებს , მისი მეურვეობით სამოქალაქო განათლების კლუბმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ის აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა სახის კონკურსებსა და ოლიმპიადებში . მისი პროექტებით სკოლამ არაერთხელ მოიპოვა გრანტი. სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმზე დასაჯილდოებულ იქნა 2016 წლის იმერეთის რეგიონის წარმატებულ პედაგოგად, ხოლო 2020 წელს წლის საუკეთესო მასწავლებლის ტიტული მიენიჭა. მას უყვარს თავის პროფესია , სწავლების პროცესში ყურადღებას ამახვილებს არამარტო საგნის სწავლებაზე არამედ ცდილობს , მოსწავლეებს ჩამოუყალიბოს სოციალური თვისებები, საგნის სწავლების პროცესში აქტიურად იყენებს საგანთა შორის კავშირს , ყველა საკითხს განიხილავს გრძელვადიანი მიზნის პერსპექტივით და ცხოვრებისეულ მოვლენებთან კავშირში. მუდმივად ზრუნავს პოზიტიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად, სადაც ყველა მოსწავლეს აქვს სასწავლო პროცესში თანაბარი ჩართვის შესაძლებლობა.

მასწავლებლობა ერთ-ერთი უჩვეულო პროფესიაა. საინტერესო და საპასუხისმგებლო. ერთი მხრივ, სასიამოვნოა მოზარდებთან ურთიერთობა, მოსწავლეთა პიროვნული ფორმირების პროცესში მონაწილეობა-ხელშეწყობა, მეორე მხრივ ვალდებულება- საკუთარი გონება, ინტელექტი და თავისუფალი აზროვნება მიმართო ბავშვებისკენ, რომელთა მომავალიც შენს ხელშია. ეს ის პროფესიაა სადაც საკუთარი თავის რეალიზება შეიძლება . ასე ესმით სკოლა ანაბასისის ღირსეულ პედაგოგიურ საზოგადოებას, რომლებიც ერთად ქმნიან სასკოლო კულტურას და არა ერთ წარმატებას აღწევენ სწავლა-სწავლების პროცესში.

,,სწავლების კარგად წარმართვაზე დამოკიდებულია, არამცთუ სვე–ბედი მომავლის თაობისა, არამედ სვე–ბედი თვითონ ქვეყნისაც“

მასწავლებლის დღეს გილოცავთ მეგობრებო და მადლობას გიხდით გაწეული საქმიანობისათვის!

1-2 ოქტომბერს ქ.ზესტაფონში გაიმართა საჭადრაკო ფესტივალი,სადაც მონაწილეობდა ხუთი რეგიონის უძლიერესი მოჭადრაკეები,ანაბასისის სკოლიდან სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში მონაწილეობა მიიღეს: იოსებ გოგხაძემ,ირაკლი ცხადაძემ,გიორგი ღავთაძემ,ლუკა კობახიძემ,ლაშა-გიორგი კობახიძემ,თამარ კვანტრიშვილმა.

წარმატებებს ვუსურვებთ ანაბასისელ მოჭადრაკეებს და მათ პედაგოგ ვიოლეტა შეყილაძეს.

სკოლა ანაბასისის ინგლისური ენის პედაგოგი ნანა ფერაძე გლობალური განათლების კოორდინატორია საქართველოდან! ვულოცავთ და გვეამაყება ქალბატონი ნანას წარმატება!

დედა ენიდან ამოსული იების სურნელი!

საამო სურნელი აქვს ბუჩქის ძირას, ტყეში თუ ბაღში ამოსული იას. ანაბასისის პირველკლასელებმა კი, დედა ენიდან ამოსული იების სურნელი იგრძნეს ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე. მარინა მასწავლებელმა დედაენა გადაშალა... ოი, საოცრება იქედან ლამაზმა იებმა თავმომწონედ ამოყვეს თავი და ყველა ბავშვის სულსა და გულში დაიდეს ბინა. სახალისო და საინტერესო აქტივობებმა დაუვიწყარი გახადა ამ ორი ჯადოსნური ასო ბგერის გაცნობა მოსწავლეებისათვის. შეთავაზებული მასალით სწორად და ლამაზად შექმნეს აპლიკაციით ,,ი'' და ,,ა''. მათ უკვე აქვთ შესაბამისი მზაობა ღირსეულად შეეჭიდონ ამ დიდ საქმეს , რასაც წერა - კითხვის სწავლა ჰქვია . მხოლოდ 2 კვირაა რაც სკოლის კარი შემოაღეს და უკვე თავს გვაწონებდნენ შეძენილი ცოდნით. სიტყვის დამარცვლა , ხმოვანის, თანხმოვანის ამოცნობა , გრაფიკულად გამოსახვა ..... წინარე ცოდნა საშუალებას აძლევს ჩვენს პირველკლასელებს მტკიცედ დაადგნენ გზას ცოდნის ტაძრისაკენ, თავიანთ აქტიურ , შემოქმედ მასწავლებელთან ერთად ! წარმატებები ვუსურვოთ მათ, დიადი მიზნების შესასრულებლად!

სკოლა ანაბასისში პროექტი „ვაქციოთ სკოლა გენდერული პასუხისმგებლობის მქონე დაწესებულებად“ აქტიურად მიმდინარეობს, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით".გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) და UNFPA პროექტის „EU4 გენდერული თანასწორობა: ერთად სტერეოტიპებისა და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ“ ფარგლებში პარტნიორი ორგანიზაციის, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის (CCIIR) ორგანიზებით.

სკოლამ შექმნა სასკოლო გეგმის დანართი , დოკუმენტი გენდერული პასუხისმგებლობის პედაგოგიკის სტრატეგია ანაბასისში, რომლის ერთ-ერთი აქტივობაა სკოლის პედაგოგების მიერ გენდერული პასუხისმგებლობის გაკვეთილების ჩატარება. 10 ოქტომბერს სკოლას ეწვია სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ორგანიზაციის წარმომადგენელი მარიამ ქართველიშვილი და დაესწრო მე-3 აკლასში ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილს, რომელიც წამყვანმა მასწავლებელმა ლოლიტა ნებიერიძემ ჩაატარა. გაკვეთილის თემა იყო ქართული ხალხური ზღაპარი „მიწას პატრონი უნდა„ გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები შეძლებენ მხატვრული ტექსტის კითხვას, ანალიზს და შეფასებას,საკუთარი დასკვნების არგუმენტირებას, კრიტიკული აზროვნების ფორმირებას, ფასეულებით ღირებულებებზე ორიენტირებას, ლოგიკური აზროვნების განვითარებას, ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, არსებითი სახელის დაჯგუფებას რიცხვის მიხედვით წარმატებით იქნა მიღწეული , გაკვეთილი მოიცავდა ყველა მოსწავლეს და წწავლის სტილს, მასწავლებელი თანაბრად იმახებდა ბიჭებსა და გოგონებს, ყველა მოსწავლეს ჰქონდა გაკვეთილზე მონაწილეობის შესაძლებლობა, ვიზუალური და ელექტრონული მასალების გამოყენებამ ყველა მოსწავლისათვის გასაგები გახადა ახალი გაკვეთილი. მასწავლებელმა შექმნა პოზიტიური, ურთიერთპატივისცემაზე და ურთიერთგაგებაზე დამყარებული სასწავლო გარემო. იგი კარგად იცნობს ყველა მოსწავლის პიროვნებას, შესაძლებლობებს და ამის გათვალისწინებით აგებდა მათან ურთიერთობას. მასწავლებელი ცდილობდა მოსწავლეებისათვის მიეწოდებინა გენდერულად დაბალანსებული მასალა, გაკვეთილზე იყენებდა გენდერულად პასუხისმგებლიან ენას.გაკვეთილის შემდეგ პროექტის კოორდინატორმა უკუკავშირი მიაწოდა პედაგოგს და გაესაუბრა დირექტორს, პროექტის ფარგლებში განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. დაინტერესდა სკოლის გაფორმებით , სასკოლო პოლიტიკით, სასკოლო აქტივობებით,პროექტისადმი მოსწავლეების დამოკიდებულებით და ჩართულობით, მშობლებისა და თემის ჩართულობით. პროექტის ორგანიზატორების აქტიური თანამშრომლობა ჩართულ სკოლებთან ზრდის პროექტის წარმატებით განხორციელების

შესაძლებლობას.

მადლობა ქალბატონ ლოლიტას საინტერესო გაკვეთილისათვის! მადლობა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ორგანიზაციის წარმომადგენელს მარიამ ქართველიშვილს პოზიტიური უკუკავშირისათვის!

ძვირფასი სტუმარი

ანაბასისის პირველი ,ა კლასის მოსწავლეებს პედაგოგი შორენა მუმლაძე , გამორჩეული დღე ჰქონდათ. მშობლიუური ენის გაკვეთილზე მათ ძვირფასი ,,სტუმარი'' ეწვიათ. კოსტუმში კოხტად გამოწყობილი , ცილინდრითა და ხელჯოხით დამშვენებული ,, იაკობ გოგებაშვილი." მათი თანაკლასელი სანდრო როლს ძშვენივრად მოერგო და მეგობრებთან ერთად შთამბეჭდავად წარმოადგინა ის სცენა, რომელმაც გადმოცემის თანახმად განაპირობა დიდი შემოქმედის არჩევანი, დედა ენა სწორედ ამ ორი ჯადოსნური ასო ბგერით დაეწყო . შორენა მასწავლებლისაგან საჩუქრად მიღებული ლამაზი მავთულობით სწორად შემოხაზეს,,ი" და ,,ა". მანამდე კი გვიამბეს ქართული დამწერლობის საინტერესო ისტორია. მეფე ფარნავაზის ღვაწლიც არ დავიწყებიათ და ლეგენდაც ქართული ანბანის შექმნის შესახებ. ლექსებით, გამონათქვამებით მოეფერნენ ქართულ ენას. შორენა მასწავლებლის მიერ დაგეგმილმა მრავალფეროვანმა აქტივობებმა და მიზნობრივად გამოყენებულმა სასწავლო რესურსებმა კარგად წარმოაჩინა ჩვენი მოსწავლეების მზაობა ქართული ანბანის შესასწავლად. წარმატებები მათ ამ დიდ საქმეში! შორენა და თეა მასწავლებელი იქნებიან შეგზურები რომლებიც დაეხმარებათ მშობლიურ ენაზე წერა -კითხვის სათანადოდ შესწავლაში. წარმატებები მათ!

პირველი ხნული უკვე გავლებულია! წარმატებები !

სკოლა ანაბასისში ახალი 2022-2023 სასწავლო წლისათვის ჩატარდა მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები.

მოსწავლეთა თვითმმართველობა წარმოადგენს სკოლის ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულს , რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნებისა და გააქტიურებისთვის. მოსწავლეთა თვითმმართველობის ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს სკოლის ფუნქციონირებასა და მმართველობით საკითხებში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას.

მოსწავლეთა თვითმმართველობა დაკომპლექტებულია საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისაგან, რომლებიც აირჩევიან შესაბამისი საფეხურების მოსწავლეთა მიერ.

მოსწავლეები თავიანთ წარმომადგენლებს/დელეგატებს თვითმმართველობაში ირჩევენ თანასწორობის საფუძველზე, პირდაპირი, საყოველთაო და ფარული კენჭისყრით, კლასების მიხედვით თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით.

ანაბასისში მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები წესების დაცვით , გამჭვირვალედ წარიმართა .

კანდიდატებმა წარმოადგინეს საარჩევნო პროგრამა, გამართეს წინა საარჩევნო კამპანია.

მოსწავლეებმა საბაზო და საშუალო საფეხურებზე აირჩიეს თავიანთი კლასების წარმომადგენლები/დელეგატები.

მოსწავლეთა მიერ თავიანთ კლასებში არჩეული წარმომადგენლები/დელეგატები თავიანთ სამოქმედო გეგმას წარადგენენ ორშაბათს საბაზო და საშუალო საფეხურის დელეგატთა გაერთიანებულ სხდომაზე, სადაც მოხდება საბაზო და საშუალო საფეხურის თავმჯდომარეების არჩევა.

ხელმძღვანელები ქეთევან ედიბერიძე, თეა სამხარაძე;

სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისში გაიმართა ინტელექტუალური თამაში “ტვინების ბრძოლის” შიდა სასკოლო ჩემპიონატი ორ ასაკობრივ ჯგუფში (თამაშის ხელმძღვანელი თეა სამხა
თამაში ძალიან საინტერესო და სასიამოვნო ემოციებით დატვირთულ გარემოში წარიმართა.
წარმატებას

ინტელექტუალური თამაშები რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო გასართობია - ამაზე აღარავინ დაობს ანაბასისში.
მოსწავლეთა თვითმმართველობის და სამოქალაქო განათლების კლუბის ორგანიზებით დაიწყო ტრადიციული ინტელექტუალური თამაშის " რა ? სად? როდის? " საშემოდგომო სეზონი.
წამყვანი მეთორმეტე კლასის მოსწავლე თეიმურაზ გოგიაშვილი.
შეხვედრა ძალიან საინტერესო და ემოციებით დატვირთულ გარემოში წარიმართა, რისთვისაც ძალიან დიდი მადლობა ყველა მონაწილეს და ორგანიზატორებს.
ხელმძღვანელი თეა სამხარაძე;

2022 წლის 25 ოქტომბერს სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისში მოსწავლეებისა და პედაგოგების (ქეთევან ედიბერიძე, თეა სამხარაძე) ჩართულობით მედიაწიგნიერების მიმართულებით ცნობიერების ამაღლების მიზნით სხვადასხვა ღონისძიება გაიმართა.

ჩატარდა მედიაწიგნიერების გაკვეთილები, მოეწყო ფილმის „მედიაწიგნიერება და კრიტიკული აზროვნება“, ჩვენება, მოსწავლეებმა შექმნეს პრეზენტაციები, გაიმართა დისკუსია თემაზე: როგორ და რატომ უნდა დავიცვათ თავი ონლაინ სივრცეში? მოსწავლეთა ჩართულობით გაიმართა კონფერენცია თემებზე:

- რა არის ინფორმაცია
- რა არის ყალბი ინფორმაცია და მისი ზეგავლენა მომხმარებლებზე
- რა საფრთხეები არსებობს ონლაინ სივრცეში და როგორ დავიცვათ თავი ინტერნეტში ნავიგაციისას.

გამოვლინდნენ ყველაზე მედიაწიგნიერი მოსწავლეები, რომელთა პრეზენტაციები გამოიფინება სასკოლო სივრცეში მედიაწიგნიერების შესახებ მოსწავლეთა ინფორმირებულობის და ცნობიერების ამაღლების მიზნით. მედიაწიგნიერების გლობალური კვირეული საქართველოში კომუნიკაციების კომისიის ორგანიზებით წელს მეორედ ტარდება.

სკოლა ანაბასისში ჩატარდა საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების შედეგად არჩეული დელეგატების პირველი სხდომა, სადაც დამტკიცდა მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება. თვითმმართველობის წევრებმა იმსჯელეს სასკოლო კლუბების შექმნაზე. შეხვედრაზე დაიგეგმა მთელი რიგი ღონისძიებები და აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას, ასევე სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებს შორის კომუნიკაციას.

20-27 ოქტომბერს ანაბასისის მე-3ა კლასში, იაკობ გოგებაშვილის 182-ე საიუბილეო წლისთავთან დაკავშირებით განხორციელდა პროექტი "იაკობის კვირეული". მოსწავლეებმა "ლამაზად წერა ხელოვნებაა" აქტივობით შემოდგომის თემატიკით შეასრულეს კალიგრაფიული ნამუშევრები, რომელიც გამოიფინა საპრეზენტაციო დაფაზე. ელექტრონული რესურსის გამოყენებით კიდევ ერთხელ გაიხსენეს იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები და ნახეს ამ მოთხრობებზე შექმნილი ანიმაციური ფილმები.
"მადლობა შენდა, მადლობა შენდა, მადლობა შენდა დიდო იაკობ".
კლასის დამრიგებელი ლოლიტა ნებიერიძე.

„ მხოლოდ დედა ენა არის ენა სულისა და გულისა , ყველა უცხო ენანი კი არიან ენანი მეხსიერებისა.... მხოლოდ დედაენაზე შეიძლება ილოცოს ადამიანმა გულმხურვალედ.". ანაბასისის მე-4 კლასის მოსწავლეები უერთდებიან იაკობის კვირეულის აღსანიშნავ ღონისძიებას!

ანაბასისის მე-3ბ კლასის მოსწავლეებმა იაკობ გოგებაშვილის 182-ე იუბილესთან დაკავშირებით განახორციელეს პროექტი "იაკობმა მოგვცა ფრთები ქართველთ ცაში ასაფრენად".
მოსწავლეებმა "ვწერთ სუფთად და ლამაზად" აქტივობით შეასრულეს კალიგრაფიული ნამუშევრები, გაიხსენეს იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები და ნახატებით გააცოცხლეს პერსონაჟები.
ნახეს ფილმი " იავნანამ რა ჰქმნა".
პროექტი საინტერესო და შემოქმედებით გარემოში წარიმართა .
პედაგოგი ეკატერინე ჯიმშიაშვილი.



მშობლიური ენის იმ პირველი კარის გასაღები, პატარა" ია "იაკობ გოგებაშვილმა იპოვა და მას აქეთ არის, ყვითელხალიან ლურჯთვალა იის ასეთი მორცხვი სურნელება ბავშვობითგანვე ტკბილად რომ მოგვდევს. Iბ კლასის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული დიდი იაკობის კვირეულში. ეცნობიან ი. გოგებაშვილის ცხოვრებას და მოღვაწეობას

ანაბასისის მე-3 ა კლასში ჩატარდა გასვლითი გაკვეთილი ბუნებისმეტყველებაში. თემა-ჩრდილი.
დღის სხვადასხვა დროს ჩრდილის სიდიდეზე დაკვირვების მიზნით, საკუთარი ჩრდილის სიდიდე მოვნიშნეთ ცარცით შუადღეზე -2სთ-ზე. საღამოს 5 სთ-ზე ჩრდილის სიდიდე გაიზარდა. დაკვირვების შედეგად ბავშვებმა თავად გამოიტანეს დასკვნები. ექსპერიმენტმა მიზანს მიაღწია

სკოლა ანაბასისის II ა (ხელმძღვანელი თ.ვეფხვაძე) და II ბ (ხელმძღვანელი ა.კახნიაშვილი) კლასში დღეს შედგა იაკობ გოგებაშვილის კვირეულის დასკვნითი საღამო. ჩატარდა სხვადასხვა აქტივობა. მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ გადაავლეს თვალი იაკობის ბიოგრაფიას, გაიხსენეს და მიმოიხილეს მისი ნაწარმოებები, დახატეს საყვარელი პერსონაჟები და შეაჯამეს პროექტის ფარგლებში მიღებული ცოდნა.

სკოლა ანაბასისში პროექტი „ვაქციოთ სკოლა გენდერული პასუხისმგებლობის მქონე დაწესებულებად“ აქტიურად მიმდინარეობს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) და UNFPA პროექტის „EU4 გენდერული თანასწორობა: ერთად სტერეოტიპებისა და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ“ ფარგლებში პარტნიორი ორგანიზაციის, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის (CCIIR) ორგანიზებით, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით".

ამჟამად პროექტის ფარგლებში საინტერესოდ წარიმართა შიდა სასკოლო კონფერენცია, რომელიც X კლასის მოსწავლეებმა სამოქალაქო განათლებაში პირველ პროექტულ სწავლებაში შერჩეული პროექტის ,, გენდერული მეინსტრიმინგისათვის" მიმართულებით დაგეგმეს.

საკითხი-გენდერული თანასწორობა/ქალთა უფლებები და გენდერული სტერეოტიპები;

პროექტის ტიპი-ადვოკატირება;

ესგ პრიორიტეტული თემა- ადამიანის უფლებები;

ინტეგრირება სხვადასხვა საგნობრივ დისციპლინებთან-ინტეგრაცია ქართულთან,ისტორიასა და ხელოვნებასთან;

მიზანი: მოსწავლეებმა გააცნობიერონ სასკოლო საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის მნიშვნელობა, შესაბამისად ხელი შეეწყოს თანასწორობის პრინციპების დასაცავად საჭირო კომპეტენციების განვითარებას.

მდგრადი განვითარების მიზნები:

N 4 მიზანი: ხარისხიანი განათლება.

N 5 მიზანი : გენდერული თანასწორობა.

N10 მიზანი: შემცირებული უთანასწორობა.

N 17 მიზანი: პარტნიორობა მიზნების მისაღწევად;

მოსწავლეებმა საინტერესოდ წარმოადგინეს საკუთარი შეხედულებები და დამოკიდებულებები გენდერული თანასწორობისა და გენდერული სტერეოტიპების შესახებ;

პედა



მკვლევართა კლუბი „ანაბასისის "მიერ განხორციელებული პროექტი ხელოვნებასთან არის ინტეგრირებული!

შემოდგომაა...
ანაბასისიდან ქარი მიაფრენს ფოთლის ბარათებს...

შემოდგომის ულამაზესი დღესასწაული სკოლა ანაბასისის I ბ კლასის მოსწავლეებმა პედაგოგ მარინა ჭულუხაძის ხელმძღვანელობით სასკოლო პროექტის "ჩემი კულტურა ჩემი სიმდიდრეა" ფარგლებში მოაწყვეს.
ნორჩმა ანაბასისელებმა გვიანი შემოდგომის ხიბლსა და მშვენიერებაზე ისაუბრეს. მოგვითხრეს რევაზ ინანიშვილისა და არნოლდ გეგეჭკორის მოთხრობები: "შემოდგომის დღე" და "დასევდიანდა ბუნება".
აღნიშნეს, რომ ბუნებაში წითელ-ყვითელი ფერები შემოდგომის მომასწავლებელია, აქა-იქ შემორჩენილი გაყვითებული, უსიცოცხლო ფოთოლი კი სხვა არაფერია თუ არა სევდანარევი მონატრება წარსული მშვენიერებისა.
შემოდგომის ბარაქით სავსე ეზო და საოცარი ფერებით მორთული დღესასწაული მართლაც ერთ-ერთ ლამაზ მოგონებად დარჩება ჩვენი სკოლის ისტორიაში.

Science on Stage! The European Network For scienceTeachers ! 2022 წელს პრაღაში საერთაშორისო ფესტივალზე ,სკოლა ანაბასისის მკვლევართა კლუბში განხორციელებული პროექტი იქნა წარდგენილი!

შემოდგომა მეორე გაზაფხულია. როცა ყოველი ფოთოლი ყვავილია
იმერული ბარაქიანი და მადლიანი შემოდგომის სურნელი დაატრიალეს ანაბასისისში I ა კლასის მოსწავლეებმა. პედაგოგები შორენა მუმლაძე და თეა გურაბანიძე.
,, მე მინდა წითელი შემოდგომა , როგორიცაა სიყვარული, ყვითელი , როგორც მზე ჯერ კიდევ თბილ ცაზე, ნარინჯისფერი , როგორც დღის ბოლოს ანთებული მზის ჩასვლა, ყურძნის მარცვლებივით იასამნისფერი. მინდა შემოდგომა აღმოვაჩინო . განვიცადო... '' პატარა იმერლებმა, შეძლეს ნათლად და ხატოვნად აღმოგვეჩინა და განგვეცადა შემოდგომა იმერეთში. ლექსით თუ სიმღერით , სამოსითა და სხვადსხვა ყოფითი აქსესუარებით, ჩურჩხელების ტრადიციული ამოვლებით აღმოვჩნდით შუაგულ იმერეთში, საიდანაც ყველამ ერთად გავაცილეთ მხიარული და ტკბილი გვიანი შემოდგომა.
მადლობა პედაგოგებს, მოსწავლეებს და მათ მშობლებს ,,თბილი, მზიანი

სკოლა ანაბასისის სამოქალაქო განათლების კლუბის წევრები აქტიურად ჩაერთვნენ ტოლერენტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის (GDI) მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლის მიზანია მოსწავლეებს შორის ადამიანის უფლებების და ტოლერანტობის მნიშვნელობის კუთხით სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და მათ პასუხისმგებლიან მოქალაქეებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

ანაბასისის სამოქალაქო განათლების კლუბის წევრებმა ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ონლაინ პრეზენტაცია გამართეს, სადაც ისაუბრეს ტოლერანტობის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე, მოეწყო ვიდეო ფილმების "მრავალფეროვანი გარემო", "თანასწორობა და დისკრიმინაცია" ჩვენება/განხილვა. კონკურსში აქტიურად მონაწილე მოსწავლეებთან ერთად სკოლის დირექციამ მადლობის სიგელებით დააჯილდოვა პედაგოგები: კლუბის მეურვე თეა სამხარაძე, ქართულის პედაგოგი მარეხი ფორჩხიძე, ხელოვნების პედაგოგი ნანა გიორგაძე.

სკოლა ანაბასისის მოსწავლეები ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის, მარეხი ფორჩხიძის ხელმძღვანელობით სასკოლო პროექტის "ჩემი კულტურა ჩემი სიამაყეა" ფარგლებში აქტიურად ჩაერთვნენ მწერალთა სახლის მიერ დავით კლდიაშვილის 160 წლის იუბილისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ კონკურსში.
მოსწავლეებმა დავით კლდიაშვილის შემოქმედების შესწავლის შემდეგ კონკურსის ფარგლებში შემოთავაზებული ორი თემიდან აირჩიეს და საკონკურსოდ წარმოადგინეს ერთ-ერთი:

16 ნოემბერი ტოლერანტობის საერთაშორისო დღეა!
ტოლერანტობა - ესაა თავისუფლება მრავალფეროვნებაში.
ანაბასისში ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამოცხადებულ კვირეულის ფარგლებში განხორციელდა პროექტი „ მინდა ვიყო ტოლერანტი“, რომლის მიზანია მოსწავლეებს შორის ადამიანის უფლებების და ტოლერანტობის მნიშვნელობის კუთხით სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და მათ პასუხისმგებლიან მოქალაქეებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

მადლობა ეტალონის გუნდს სკოლა ანაბასისთან თანამშრომლობისათვის!

17 ნოემბერი გალაკტიონის დაბადების დღეა!
ანაბასისის მე-7 ბ კლასის მოსწავლეებმა ლამაზი საღამო მიუძღვნეს დიდი პოეტის 131-ე წლისთავს. მოსწავლეებმა წარმოადგინეს ლექსები პოეტის შემოქმედებიდან, გაიხსენეს მნიშვნელოვანი ეპიზოდები მისი ცხოვრებიდან. ღომისძიებამ მიზანს მიაღწია. მოსწავლეებმა თავის პატივისცემა გამოხატეს პოეზიის მეფის მიმართ, განუვითარდათ ლექსის გამომეტყველებით კითხვის უნარი, შეიძინეს ფართო აუდიტორიასთან მუშაობის გამოცდილება, აუმაღლდათ თვითშეფასება. საღამოს ორგანიზატორი გახლდათ ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ქეთი ყიფიანი. შემდგომი წარმატებები მასწავლებელს და მოსწავლეებს!

ბუნება დიდი მასწავლებელია

მიილია შემოდგომა. დაუბერა ცივმა ქარმა და ჰაერში ფერადი ფოთლების კორიანტელი დააყენა. შემდეგ ნელ-ნელა ჩადგა და უმწეო ფოთლებმა უსიცოცხლოდ დაიწყეს მიწაზე მოფენა.

ანაბასისის მე-3 ა კლასის მოსწავლეებმა(პედაგოგი ლოლიტა ნებიერიძე) გადაწყვიტეს გაეცოცხლებინათ ჯერ კიდევ ლამაზ ფერებში, მიწაზე უსიცოცხლოდ მოფენილი ფოთლები . შეაგროვეს ჯადოსნური ფერებით „შეღებილი“ ფოთლები, შექმნეს პეიზაჟები, პორტრეტები და საკლასო ოთახის საპრეზენტაციო კუთხეზე დაუდეს ბინა.

ამა თუ იმ კუთხისათვის ენდემურ მცენარეთა ნაყოფების ნაწილებით ,,მოხატულმა“ საქართველოს რუკამ, თავისი ორიგინალური იერით ხალისი შემოიტანა საკლასო ოთახში. მისი დახმარებით მოსწავლეები საქართველოსაც ეცნობიან და იქ გავრცელებულ მცენარეებსაც.

,,მომავალ შეხვედრამდე 2022 წლის შემოდგომავ! მადლობა ლამაზი და მრავალფეროვანი დღეებისათვის!- მესამე კლასელები შემოდგომას დაემშვიდობნენ.

კლასის დამრიგებელი: ლოლიტა ნებიერიძე

ბუნებისმეტყველების შესწავლით მოსწავლე დგამს პირველ ნაბიჯებს გარემომცველი სამყაროს შეცნობისაკენ, უყალიბდება გარემოს მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა , ეუფლება ჯანსაღი და უსაფრთხო ცხოვრების წესებს.სკოლა ანაბასისის წამყვანი პედაგოგი ლოლიტა ნებიერიძე თავის მუშაობაში აქტიურად იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს.მე-3 ა კლასში თემის „თოთოლის „ შესწავლისას მან დაკვირვების მეთოდი გამოიყენა . დაკვირვება ბუნებისმეტყველების შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია. დაკვირვების მეთოდს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს დაწყებით კლასებში. ბუნებაზე უშუალო დაკვირვებისა და შესწავლის შედეგად მოსწავლეებს უყალიბდებათ გარემომცველ სამყაროზე კონკრეტული წარმოდგენა.

აქტივობის განხორციელების დროს, მოსწავლეებს წინასწარ განემარტად დაკვირვების მიზანი: პრაქტიკულად ამოეცნოთ და თეორიულ მასალაზე დაყრდნობით ესაუბრათ მარტივი და რთული ფოთლის გარეგნულ მახასიათებლებზე.

მიცათ მკაფიო ინსტრუქციები,დაეცვათ უსაფრთხოების წესები , სკოლის ეზოში შეეგროვებინათ მარტივი და რთული ფოთლის ნიმუშები, დაკვირვებოდნენ, აღეწერათ ისინი და შედეგები გაეცნოთ თანატოლებისათვის. მოსწავლეებმა ხალისით და ინტერესით შეასრულეს დავალება. თეორიული მასალის ცოდნა მათ დაეხმარათ სწორად ამოეცნოთ მარტივი და რთული ფოთლები , ასევე ესაუბრათ მათ მახასიათებლებზე. განხორციელებულმა აქტივობამ გარემომცველი გარემოს შესწავლის მიმათ მოსწავლეთა ინტერესი გააღრმავა და ბუნებისმეტყველებაში შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა მისცა. მოსწავლეებს განუვითარდათ: დაკვირვების უნარი, მეხსიერება, კონცენტრაცია, პასუხისმგებლობა, ინტერესი და ცნობისმოყვარეობა, ინიციატივა და დამოუკიდებლობა.წარმატებები მათ , პედაგოგთან ერთად!

სკოლა ანაბასისის უფროსმა მასწავლებელმა ანა კახნიაშვილმა მე-2 ბ კლასში ჩაატარა გაკვეთილი ქართული ენასა და ლიტერატურაში თემაზე: ურთიერთობები. მიხა შილდელის მოთხრობა „ციყვი და კოდალა“. გაკვეთილის მიზანი იყო გამომეტყველებითი კითხვის უნარ-ჩვევების დაუფლება, პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის და მასში მასწავლებელს თავის მოსწავლეებთან ერთად! განხილული საკითხების მიმართ და სამეტყველო ეტიკეტის ფორმის შერჩევა. გაკვეთილი დაფუძნებული იყო მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე.კონკრეტულად „მოსწავლეებს შეუძლიათ საშუალო სირთულის მხატვრული ტექსტის მოსმენა და გაგება; მსჯელობა და ჯგუფში მუშაობა.''

გაკვეთილის დაწყებისთანავე მასწავლებელი შეეცადა შეექმნა პოზიტიური, ურთიერთპატივისცემაზე და ურთიერთგაგებაზე დამყარებული სასწავლო გარემო. იგი კარგად იცნობს ყველა მოსწავლის პიროვნებას, შესაძლებლობებს და ცდილობს ამის გათვალისწინებით ააგოს მასთან ურთიერთობა.

გაკვეთილი წარიმართა წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. გაკვეთილი იყო ელექტრონული და მატერიალური რესურსებით მიზნობრივად დატვირთული , რაც ხელს უწყობდა გაკვეთილზე მოსწავლეთა ჩართულობის შენარჩუნებას, გათვალისწინებული იყო დწყებითი კლასების მოსწავლეთა თავისებურება ყურადღების კონცენტრირების. გაკვეთილზე შეძენილი ცოდნა მოსწავლეებს დაეხმარებათ მომავალი თემების შესწავლის დროს . წაიკითხეს და გაიაზრეს ახალი, ტექსტი, დაასათაურეს აბზაცები, ყურდღება გაამახვილეს მიმართვის ზრდილობიან ფორმებზე, რაც მათ სოციალური უნარების ფორმირებაში დაეხმარებათ. გაკვეთილი იყო საინტერესო და განმავითარებელი.

გაკვეთილს ესწრებოდა სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფი.

წარმატებები ანა

„ჩემო სიამაყევ, ჩემო სადარდელო, დედა საქართველო! „
დიმიტრი უზნაძე ბრძანებდა : „სწავლაში ძირითადი მნიშვნელობა იმ პროდუქტს კი არ აქვს, რომელსაც კონკრეტული ჩვევის ან კონკრეტული შინაარსის მქონე ცოდნის სახით გვაძლევენ, არამედ – განსაზღვრული მიმართულებით მოსწავლის ძალების განვითარებას”. 21-ე საუკუნის მოსწავლისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცოდნის დაგროვება, არამედ იმ უნარ-ჩვევების დაუფლება და განვითარება, რომლებიც მას მთელი ცხოვრების განმავლობაში კონკურენტუნარიანსა და წარმატებულს გახდის. სწორედ ამ კონტექსტის გათვალისწინებითაა საინტერესო და მნიშვნელოვანია პროექტებით სწავლება.
მე-3 ბ კლასელებმა (მასწავლებელი ეკა ჯიმშიაშვილი) საინტერესო გზა გაიარეს პროექტის განხორციელებისათვის თემაზე: „ჩემო სიამაყევ, ჩემო სადარდელო, დედა საქართველო!" ბოლო ეტაპამდე შეძლეს თანამედროვე ტენოლოგიებთან მუშაობა, ბიბლიოთეკაში წიგნების მოძიება და იქედან საჭირო ინფორმაციის ამოღებას. მოძიებული ინფორმაცია დაახარისხეს, დაწერეს სუფთად და ლამაზად და სათანადო ინტონაციის დაცვით წაიკითხეს დ კლასში. უსმენდნენ ერთმანეთს აკეთებდნენ შეფასებას და კომენტარებს.
მოსწავლეები შეძლეს პასუხისმგებლობისა და საპრეზენტაციო უნარების გამომუშავება. გაიღრმავეს ცოდნა საართველოს ისტორიული წარსულის, ტრადიციების და კულტურის შესახებ.
მოსწავლეები სკოლის ბიბლიოთეკას ესტუმრნენ, წამოიღეს საჭირო წიგნები. გაეცვნენ ინფორმაციას . დახატეს საქართველოს რუკა. გამოყვეს კუთხეები და გააფერადეს. ასევე დახატეს და გააფერადეს ეკლესია-მონასტრები.
პრეზენტაციების წარმოდგენას ემოცია შემატა მოსწავლეთა საქართველოს კუთხეებისათვის დამახასიათებელმა ჩაცმულობამ,მათ საინტერესოდ წარმოგვიდგინეს საქართველოს კუთხეებზე ინფორმაციები და პოეტური შედევრები, სინანული გამოთქვეს საქართელოს ოკუპირებული ტერიტორიების გამო. ჩაგვისახეს იმედი, რომ ეს თაობა აუცილებლად იცხოვრებს ერთიან , თავისუფალ საქართველოში! ამაყად, გულმოდგინედ და სიყვარულით შეასრულეს საქართველოს ჰიმნი! წარმატებები მესამე კლასელებს და მათ პედაგოგს ეკა ჯიმშიაშვილს!

,,ჩემო სიამაყევ, ჩემო სადარდელო, დედა საქართველო"

21-ე საუკუნის მოსწავლისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცოდნის დაგროვება, არამედ იმ უნარ-ჩვევების დაუფლება და განვითარება, რომლებიც მას მთელი ცხოვრების განმავლობაში კონკურენტუნარიანსა და წარმატებულს გახდის. სწორედ ამ კონტექსტის გათვალისწინებითაა საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტებით სწავლება.

სასწავლო პროექტი ეს არის ერთ-ერთი აქტივობა იმ აქტივობებს შორის, რომელიც 21-ე საუკუნის პიროვნების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის საკმაოდ ღირებულ ადგილს იკავებს. მე-4 კლასში განხორციელდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში პროექტი-„საქართველოს მეფეები. ''მასწავლებელი ლანა ჩუბინიძე. პროექტის მიზანი იყო: მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მოძიება როგორც წიგნებიდან ასევე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით საქართველოს მეფეებზე და პრეზენტაციის საკლასო ოთახში წარმოდგენა, გაიუმჯობესონ წერითი და შემოქმედებითი უნარები. გაიღრმაონ ცოდნა საქართველოს ისტორიული წარსულის შესახებ.

პროექტი დაგეგმელი და განხორციელებული იყო ბადრიძის „მეფე მწიგნობარი" და ი. გოგებაშვილის „დავით აღმაშენებელი" ის შესწავლის საფუძველზე . პროექტის პრეზენტაცია ქართულ სამოსში გამოწყობილმა გოგო ბიჭებმა შთამბეჭდავად მოახდინეს. წარმოდგენილი ვიდეორგოლი ასახავდა პროექტის განხორციელების ეტაპებს: 1. სკოლის ბიბლიოთეკაში ვიზიტი, ბიბლიოთეკართან კონსულტაციით საჭირო ლიტერატურის შერჩევა; 2. სოციალურ ქსელსი ინფორმაციების მოძიება . 3. საქართველოს რუკის დახატვა და ეკლესია მონასტრების გაფერადება.4. ვიდეოფილმის „დავით აღმაშენებლის ყურება და მსჯელობა მასზე.5. დავით აღმაშენებელზე გმირის რუკის შევსება. 6. მასალის პრეზენტაცია. მოძიებული მასალები მოსწავლეებმა საინტერესოდ წარმოადგინეს და საქართველოს მეფეებზე ლექსები მხატვრულად წაიკითხეს. ვულოცავთ მოსწავლეებს და მასწავლებელ ლანა ჩუბინიძეს პროექტის წარმატებით განხორციელებას.

ანაბასისში ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე აღნიშნეს.
1948 წლის 10 დეკემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმა შექმნეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ სახით.
გაერომ 10 დეკემბერი ადამიანის უფლებების დაცვის დღედ 1950 წელს გამოაცხადა.
ანაბასისელებმა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამოცხადებული კვირეულის ფარგლებში სხვადასხვა აქტივობები დაგეგმეს და განახორციელეს:

- ვიდეოფილმის ჩვენება/განხილვა;
- პრეზენტაცია: „ადამიანის უფლებების იდეა და წყარო“
- როლური თამაში: „ჩვენ ვქმნით კანონებს“
- იმიტირებული გაეროს სხდომა - „ჩვენ გაეროში“
- დისკუსია: „უფლებების დაცვა ყველა ჩვენგანის ვალია“
- ესეების კონკურსი: მინდა ვიყო ტოლერანტი

ანაბასისელებმა საინტერესოდ ისაუბრეს უფლებების მნიშვნელობაზე და მათი დაცვის აუცილებლობაზე. მათ განმარტეს, რომ უხსოვარი დროიდან, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა სახელმწიფო და სამართალი, ადამიანები ერთმანეთთან მშვიდობიანი თანაცხოვრების მისაღწევად სხვადასხვა წესებზე თანხმდებოდნენ, იცნობდნენ ამ წესებს, რომლებიც ხშირად დაწერილიც არ იყო და საყოველთაო უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად მათ დაცვას ცდილობდნენ.
მოსწავლეებმა ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებულ გამოწვევებზეც ისაუბრეს, რომელთა წინაშე დღეს მთელი მსოფლიო დგას.
ანაბასისელ მოსწავლეებს კარგად აქვთ გააზრებული გაეროს გენერალური მდივნის პან გი მუნის სიტყვები:
„ჩვენი ვალია, უზრუნველვყოთ ამ უფლებათა რეალიზაცია ყოველდღიურ ცხოვრებაში და დავრწმუნდეთ, რომ მათ შესახებ ცოდნა, მათი გაგება და გამოყენება ხელმისაწვდომია ყველგან და ყველასათვის. ხშირ შემთხვევაში დეკლარაციის არსებობის შესახებ ინფორმირებულობა უფრო მნიშვნელოვანია იმათთვის, ვისი უფლებებიც მწვავედ ილახება – მათ უნდა იცოდნენ, რომ არსებობს ეს დოკუმენტი და რომ ის არსებობს მათთვის“.
სკოლაში განხორციელებული აქტივობების ძირითადი მიზანი სწორედ დეკლარაციის არსებობის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას ემსახურებოდა.
კვირეული დასრულდა ანაბასისელთა მოწოდებებით - მათ „გაეროს ტრიბუნიდან“ მსოფლიოს ხალხს მშვიდობის შენარჩუნებისა და ადამიანის უფლებების დაცვისკენ მოუწოდეს.
პედაგოგები ქეთევან ედიბერიძე და თეა სამხარაძე.

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღის კვირეული ანაბასისში

მასწავლებლები მასწავლებლებისათვის!2022 წლის 17 დეკემბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო განათლების კვლევითი ცენტრის SALis ორგანიზებით ჩატარდა ვორქშოპი საბუნებისმეტყველო მეცნიერების მასწავლებლებისათვის. რომელზეც Science on Stage ფესტივალის მონაწილე პედაგოგებმა , ნინო აბესაძემ, ინესა ბეჟანოვამ ქეთევან ედიბერიძემ , თავის გამოცდილება გაუზიარეს მასწავლებლებს. ვორქშოპი საინტერესოდ წარიმართა. მაღალი იყო მასწავლებელთა ჩართულობა შეთავაზებულ აქტივობებში.

საინტერესო კონკურსის საუკეთესო დასასრული

სკოლა ანაბასისს სანტები ეწვივნენ და საახალწლო განწყობა შექმნეს!
ნაძვის ხეების იდუმალ ტყეში პატარა სანტებმა დაიდეს ბინა , თოვლის ბაბუს მოლოდინში თავიანთი შემოქმედებითი უნარები ლამაზად წარმოაჩინეს და სამართლიანად დაიმკვიდრეს ადგილი ვარდისფერ ჟურნალში, სადაც მხოლოდ საუკეთესო ბავშვები არიან გაერთიანებული, ლამაზი და ბედნიერი ახალი წელი ჩვენს გოგო-ბიჭებს, მათ მშობლებს და სრულიად საქართველოს!
პედაგოგი შორენა მუმლაძე

ანაბასისის მეექვსე კლასში სასკოლო პროექტის "ჩემი კულტურა ჩემი სიმდიდრეა" ფარგლებში განხორციელდა კომპლექსური დავალების შემაჯამებელი პრეზენტაცია თემაზე სამცხე ჯავახეთი.
კომპლექსური დავალების პირობა :
სამცხე-ჯავახეთი გამოირჩევა ისტორიული ძეგლების სიმრავლით, განსაკუთრებით კი კლდეში ნაკვეთი ნაგებობებით, რომელთა შესახებ არაერთი ლეგენდაა შემორჩენილი. მოიძიე ინფორმაცია(მცირე ისტორია) რომელიმე ისტორიულ ძეგლზე და შეაგროვე არსებულ ძეგლის შესახებ ლეგენდები. შექმენი ბროშურა/კედლის გაზეთი, ლეგენდებს თან დაურთე ფოტომასალა. ბროშურა/კედლის გაზეთი წარმოადგინე კლასის წინაშე, სადაც პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
როგორ დარჩა სამცხე-ჯავახეთის კლდეში ნაკვეთი ისტორიული ძეგლები ხალხის მეხსიერებაში; როგორ აფასებენ მას დღეს საქართველოს სხვადახვა მხარეში მცხოვრები ადამიანები (მ.წ. 1)
შენთვის ცნობილ რომელ ისტორიულ მოვლენას ან პერიოდს შეიძლება უკავშირდებოდეს შენს მიერ მიძიებული ლეგენდა, რა არის მართალი და მოგონილი ლეგენდაში (მ.წ. 2)
საიდან ვიცით კლდეში ნაკვეთი ისტორიული ძეგლების შესახებ.
მოსწავლეებმა საინტერესოდ წარმოაჩინეს საკუთარი ცოდნა/დამოკიდებულებები სამცხე-ჯავახეთის და ზოგადად, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ;
გაკვეთილზე მონიტორინგს ახორციელებდა სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფი.
ჩვენი საქართველოს პედაგოგი თეა სამხარაძე.

მშვიდობიან, წარმატებულ, ბედნიერ შობა ახალ წელს გისურვებთ , მეგობრებო!
ტრადიციული საშობაო-საქველმოქმედო პროექტი ანაბასისში უკვე წლებია წარმატებით მიმდინარეობს მოსწავლეთა , მშობელთა და მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.
ანაბასისის სამოქალაქო განათლების კლუბის, მკვლევართა კლუბის და ეკოკლუბის წევრებმა მოინახულეს სოციალურად დაუცველი მარტოხელა მოხუცები, მრავალშვილიანი ოჯახები, ესტუმრნენ ზესტაფონის ჰუმანიტარულ ორგანიზაციას "კათარზისს" და თავიანთი სითბო და ყურადღება გაუნაწილეს მათ, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება.
ხელმძღვანელები ქეთევან ედიბერიძე, თეა სამხარაძე , თამარ მალაღურაძე.

სკოლა ანაბასისი პიროტექნიკის წინააღმდეგ!
შევცვალოთ არსებული ვითარება უკეთესობისკენ ერთობლივი ძალისხმევით!
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის მომართვას საახალწლო დღეებში პიროტექნიკის გამოყენების შესახებ აქტიურად გამოეხმაურა სკოლა ანაბასისის სასკოლო საზოგადოება.
სკოლის დირექტორის ქალბატონი ქეთევან ედიბერიძის ხელმძღვანელობით თითოეულმა დამრიგებელმა ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრა მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან პიროტექნიკის მავნე გავლენის შესახებ ადამიანის და ცხოველის ორგანიზმზე და გარემოზე.
ანაბასისის სამოქალაქო განათლების კლუბის,მკვლევართა კლუბის და ეკოკლუბის წევრებმა შექმნეს და გაავრცელეს საინფორმაციო ბუკლეტი პიროტექნიკის მავნებლობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით!
მშვიდობიან და ბედნიერ შობა ახალ-წელს გისურვებთ, მეგობრებო!
ხელმძღვანელები ქეთევან ედიბერიძე, თეა სამხარაძე , თამარ მალაღურაძე.

რა შეუძლიათ ლექსებს?!
მოსწავლეებს უყვართ ძიება. მასწავლებელმა კი ხელი უნდა შეუწყოს ძიების პროცესს, რათა სწავლის პროცესი საინტერესო, სახალისო და შემოქმედებითი ხასიათის იყოს.
ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი პედაგოგი მარეხი ფორჩხიძე ყოველთვის ცდილობს მოსწავლეებს შესთავაზოს ტრადიციული გაკვეთილებისაგან განსხვავებული ფორმატი , რაც ეხმარება მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაში და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.
მე-7 კლასში საკითხის ,,რა შეუძლიათ ლექსებს" განხილვისას მოსწავლეებთან შეთანხმებით გადაწყვიტა მიემართა კითხვების დასმის ხელოვნებისათვის . ინტერესთა დაფაზე მოსწავლეებმა განათავსეს კითხვები, რომლებიც დაიბადა ლექსების გაცნობისას. ბესიკ ხარანაულის ,,ლექსებიდან „ - ,,სუსტი ფრთების იმედით მივაღწევთ , განა გაღმა ნაპირს?"
,,აბა, ხანჯლებად ვინ ჩაბღუჯა ისინიხელში, ანდა ფარად ვინ მოიხმარა? ''
ტიციანმა რატომ დაარქვა თავის ლექსს რია-რია?" ანა კალანდაძის ,, რა ვარ მტკვარი ვარ"მიხედვით რისი მეტაფორაა ქარი? ,, როგორ იქცევა ლექსი გულისტკივილადაც და მალამოდაც ? (,,ვაჟა-ფშაველას ნაამბობი"), ,, როგორ მოდის პოეტთან შთაგონება?"
ლუი ამსტრონგის მუსიკის ჰანგებმა მეტი ემოცია შესძინა ბესიკ ხარანაულის ლექსის სტრიქონებს , რაც მთავარია მოსწავლეებმა პასუხი გასცეს კედელზე დასმულ კითხვებს.
რამდენიმე მოსწავლემ თავის განწყობა ნახატებში გადმოცა და აღიარეს მოსმენილი ლექსის სტრიქონები მათი შთაგონების წყარო აღმოჩნდა .
მართლაც ,, რა შეუძლიათ ლექსებს?!"

ხელოვნებისა და ინგლისურის ინტეგრირებული გაკვეთილი

ძველი წელი წარსულია, ახალი კი მომავალი!
სკოლის დარბაზში აციმციმდა საახალწლო ნაძვის ხე. ნაძვის ხის მანათობელი ნათურები ნაზად აფრქვევდა სხივებს და ყველა ბავშვის გულს ათბობდა. ნათელი ღვთის მადლი ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ქალაქს, ჩვენს ოჯახებსა და ჩვენს მშობლიურ სკოლას.
გულწრფელი ლოცვა წარმოთქვეს ბავშვებმა: - ღმერთო, გევედრები, ქვეყნად არ იყოს ცრემლი და წუხილი! გამიხარე ყველა ადამიანი , ღმერთო ამიყვავე სამშობლოს მთა-ბარი, ყოვლადძლიერო, ყოვლადკეთილო, საქართველო მიქმენ ბედნიერი!
ბავშვებმა მხიარულად გააცილეს ძველი წელი. გაატანეს დარდი, მწუხარება, ტკივილი, შური, სიძულვილი, გაუტანლობა და მტრობა.
ინატრეს, რომ ახალმა წელმა მოიტანოს: სიხარული, ბედნიერება, სიყვარული, ერთმანეთის გატანა, სურვილების ასრულება, ჩვენი ქვეყნის ძლიერება, საქართველო გახდეს ზღაპრული მხარე, ბაღნარი .ჩვენ კი შევძლოთ დედა სამშობლოს ღირსეული შვილობა სწავლით, ქცევით, საქმით.
მშვიდობით ძველო წელო. გესალმებით წელო ახალო! დიდხანს ელოდნენ ამ წუთებს. გულმოდგინედ მოემზადდნენ საზეიმო საღამოსათვის. ახალი წლის შემობრძანება ტრადიციულად ნაძვის ხის მორთვითა და თოვლის ბაბუს სტუმრობით იზეიმეს. წერილებიც დაუწერეს თოვლის ბაბუს და სანტას. ალბათ ერთად ბჭობდნენ სასურველ საჩუქარზე. ლექსი ლექსს ცვლიდა , სიმღერა სიმღერას, ცეკვა ცეკვას. ჩვენი პატარების სახეზე ბედნიერების და სიხარულის სხივი ციმციმებდა, მათი საახალწლო განწყობა გადამდები იყო აუდიტორიისათვის.
კლასის დამრიგებელი ლოლიტა ნებიერიძე საგანგებოდ ამ დღისადმი დაწერილი წერილით მიესალმა თავის მოსწავლეებს
,,მოგესალმებით ჩემო, გამორჩეულად თბილო მოსწავლეებო!
მესამე წელია რაც ჩვენ სასკოლო ცხოვრება გვაერთიანებს. სულმოუთქმელად ველი ყოველი დღის გათენებას და თქვენთან შეხვედრის სიხარულით აღვსილი, იმედიანად ვუცქერ თქვენი მომავალი ცხოვრების ეტაპების გავლას. ერთი სული მაქვს გითხრათ, რომ თქვენ საუკეთესონი იყავით ამ ხნის განმავლობაში. თქვენი კარგი ქცევით, ბეჯითობითა და სიკეთით გამოირჩეოდით ყველასგან.
როდესაც ჩემს ,,ჯადოსნურ სარკეში“ ვიხედებოდი, გული სიხარულით მევსებოდა, რომ ასეთ კარგ და გამორჩეულ ბავშვებს ვხედავდი. თქვენი ოჯახები ამაყობენ თქვენით და ძალიან უყვარხართ. ჩემი დიდი თხოვნა იქნება, რომ ასე გააგრძელოთ და თქვენი მშობლების გულები მუდამ გაახაროთ!
ახლა კი მინდა მოგილოცოთ ჩემო ბავშვებო ახალი 2023 წელი და გისურვოთ ბევრი წარმატება, ბედნიერი დღეები და მხიარული თავგადასავლები.
რაც მთავარია არ დაგავიწყდეთ იყოთ მუდამ ბეჯითები, კეთილები და მეგობრულები.
გთხოვთ, ეს სურვილი შემისრულოთ!
უდიდესი სიყვარულით თქვენი ლოლიტა მასწავლებელი.
სტუმრად მოსულმა თოვლის ბაბუმ საზეიმო განწყობა გაამლიერა . მოსწავლეებიც დაარიგა:
საახალწლოდ თოვლის პაპამ,
საჩუქრები დაარიგა,
მერე, მერე ყველა ბავშვი
ამ სიტყვებით დაარიგა.
ისწავლეთ და გაიხარეთ
სალო,ელე, გიგი, ქიტო,
გიო, ტასო, გაბო, ანდრო
გაბრიელა, ლიზი, ანა,
ნატა, ვახო, დაჩი, გაბო
ანამარია, იკაკო
გულში ცუდი არ გაივლოთ,
შეიყვარეთ სიყვარული
გატანა და სიკეთეცო.
ნატვრის ახდენა და ბედნიერი ახალი წელი ჩვენს პატარებს და მთლიანად საქართველოს!

სიკეთის გარეშე ნამდვილი სიხარული შეუძლებელია“
მე-5 ბ კლასში, უფროსმა მასწავლებელმა ქეთი ყიფიანმა კომპლექსური დავალება წარმატებით განახორციელა თემაზე : სიკეთე. დავალების შესრულება რამდენიმე ეტაპს მოიცავდა . პირველ ეტაპზე მოხდა მასწავლებლის მიერ პირობის გაცნობა, შემდეგ ეტაპებზე კი მოსწავლეებმა შეისწავლეს და გაანალიზეს რამდენიმე ავტორის ნაწარმოები. იმსჯელეს სიკეთეზე, შექმნეს მოთხრობები და კომიქსები. კომპლექსური დავალების ბოლო ეტაპზე სწორედ მათ მიერ შექმნილი მოთხრობების და კომიქსების პრეზენტაცია განხორციელდა.

როგორი ჰაერით ვსუნთქავთ ზესტაფონში?
ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა ინფორმაცია გვესმის და იწერება სოციალურ ქსელებში. ხშირად შემაშფოთებელიც . ჰაერზე კი უარს ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვიტყვით. უჰაეროდ ადამიანი ხომ რამდენიმე წუთსაც ვერ იარსებებს. გვაქვს თუ არა უმძიმესი მდგომარეობა ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით ზესტაფონში, ამის გასარკვევად გეოგრაფიის პედაგოგის რუსუდან გურგენაშვილისა და ბიოლოგიის პედაგოგის თამარ მალაღურაძის ორგანიზებით სასწავლო ექსკურია მოეწყო შ.პ.ს. ჯორჯიან მანგანეზის ეკოლოგიურ ლაბორატორიაში. (ლაბორატორია ახდენს ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგს ქარხნის ტერიტორიაზე და დასახლებულ პუნქტებში) ლაბორატორიის თანამშრომლების გულისხმიერებამ საშუალება მისცა მოსწავლეებს მიეღოთ ამომწურავი ინფორმაციები როგორ ახდენენ ლაბორატორიაში ჰაერის შედგენილობის განსაზღვრას. მოსწავლეები ესტუმრნენ ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის ჯიხურს რომელიც აფიქსირებს მტვრის რაოდენობას ფრაქციებით, აზოტის (IV),გოგირდი(IV) ოქსიდის , ნახშირბადის მონოქსიდის შემცველობას ჰაერში. ჯიხურების მონაცემები ავტომატურად მიეწოდება ქარხნის ხელმძღვანელობას, ასევე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს. მისი ნახვა შეუძლია სოციალურ ქსელში დაინტერესებულ პირს. მიღებული შედეგებით მოსწავლეებს შეექმნათ წარმოდგენა ჰაერზე , . შეაფასეს მისი სიუფთავის ხარისხი , მტვრის , მანგანუმის დიოქსიდის, აზოტის დოქსდის , გოგირდის დიოქსიდის, ნახშირბადის მონოქსიდის შემცველობა ზღვრულად დასაშვებ რაოდენობასთან შედარებით.
სასწავლო ექსკურსიამ მიზანს მიაღწია. კათედრების თანამშრომლობამ მოსწავლეთა ცოდნის თვალსაწიერი გააფართოა და გარემომცველი გარემოს შესწავლასა და მასზე მზრუნველი უნარების ფორმირებას შეუწყო ხელი.

საინტერესო პროექტი ხელოვნებაში-პედაგოგი ნანა გიორგაძე

2023 წლის 20 იანვარს, უშანგი ჩხეიძის სახელობის დრამატულ თეატრში "წიგნების თაროს" საჯარო შეხვედრა გაიმართა. ანაბასისელებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ალექსანდრე ლორთქიფანიძის საჯარო ლექცია : "ამბავი, რომელსაც 50 000 წელია ვყვებით" - როგორ იქმნებოდა ლიტერატურა, პირველი ადამიანების ამბებიდან 21-ე საუკუნის ბესტსელერებამდე.

ლექციის დასრულების შემდეგ გაიმართა „წიგნების თაროს" საჯარო თამაში .

სასიამოვნოა ის ფაქტი , რომ ცამეტი გამარჯვებულიდან ორი ანაბასისელი იყო, მეთერთმეტე კლასის მოსწავლე თამარ კაპანაძე და მეცხრე კლასის მოსწავლე საბა ბახტაძე. სწორი პასუხის ავტორები სპეციალური პრიზებით და წიგნებით დაჯილდოვდნენ.

ვულოცავთ მათ ამ გამარჯვებას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს!

სასიამოვნო მოგონება!
ანაბასისში წლებია წარმატებით მიმდინარეობს საქველმოქმედო პროექტი!
აღნიშნული აქციის დაფინანსებისთვის კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ზესტაფონის , თერჯოლის, ტყიბულისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტების მაჟორიტარ დეპუტატ ბატონ ბეჟან წაქაძეს და დეპუტატის ბიუროს ბატონ დავით კამლაძის ხელმძღვანელობით!
"ჭეშმარიტი სიკეთე უსაზღვროა!"
პროექტის ხელმძღვანელი თეა სამხარაძე.

ტრადიციული საქველმოქმედო პროექტი ანაბასისში უკვე წლებია წარმატებით მიმდინარეობს მოსწავლეთა , მშობელთა და მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.
ანაბასისის სამოქალაქო განათლების კლუბის, მკვლევართა კლუბის და ეკოკლუბის წევრებმა თვითმმართველობის წევრებთან ერთად მორიგი საქველმოქმედო აქცია გამართეს.
ისინი ესტუმრნენ სოციალურად დაუცველ მარტოხელა მოხუცებს, მრავალშვილიან ოჯახებს, ზესტაფონის ჰუმანიტარულ ორგანიზაციას "კათარზისს" , მოხუცთა სახლს "მოსა" და თავიანთი სითბო და ყურადღება გაუნაწილეს მათ, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება.
ხელმძღვანელები ქეთევან ედიბერიძე, თეა სამხარაძე , თამარ მალაღურაძე.

წიგნი ჯადოქარია...

1 თებერვალი წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღეა. იგი მერვედ აღინიშნება საქართველოში, ანაბასისის მე-3 ა კლასის მოსწავლეები ამ მნიშვნელოვანი თარიღს (კლასის ხელმძღვანელი ლოლიტა ნებიერიძე) სკოლის ბიბლიოთეკიდან შეუერთდნენ.

მათ მოიძიეს ცნობილი ადამიანების ბრძნული გამონათქვამები წიგნზე და წიგნიერების მნიშვნელობა „მეფე მწიგნობარის“ ტექსტით არგუმენტებით გაამყარეს. დავით აღმაშენებლის მეფობის წარმატების საფუძველად წიგნიერება აღიარეს.

მოსწავლეებმა წაიკითხეს თავიანთი საყვარელი წიგნებიდან ამონარიდები რომელიც ძალიან მოეწონათ.

მედიაწიგნიერების კუთხიდაც გამახვილდა ყურადღება. ნაჩვენები იქნა ვიდეორგოლი,, მედია წიგნიერება“ მასში განხილული იყო ინსტრუმენტები, რომელიც დაეხმარებათ ცრუ და ნამდვილი ინფორმაციის დადგენაში.

მოსწავლეებმა ხელოვნების გაკვეთილზე შესწავლილი თემიდან „არქიტექტურა“ შექმნეს ფერადი „მკითხველთა ქალაქი“. რაც მეტი წიგნი ექნება ქალაქის მაცხოვრებლებს წაკითხული მით მეტად ნათელი, ფერადი , ლამაზი იქნება მათი სახლები.

მოსწავლეებმა ღონისძიება საქართველოს ჰიმნის შესრულებით დაასრულეს. [illegible] აღსანიშნავად, ლოლიტა მასწავლებელთან ერთად მოსწავლეებმა გადწყვეტილება მიიღეს: სიმბოლურად [illegible] წიგნი, ყველამ წაიკითხოს და აზრები გაუზიარონ ერთმანეთს.

წარმატებებები ლოლიტა მასწავლებელს და მათ აღსაზრდელებს!

ანაბასისში თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო გასართობი ინტელექტუალური თამაშის - "რა?სად?როდის?" მორიგი შეხვედრა გაიმართა.
მოსწავლეთა თვითმმართველობის, სამოქალაქო განათლების კლუბის, მკვლევართა კლუბის და ეკოკლუბის წევრთა ორგანიზებით გამართული ტრადიციული ინტელექტუალური თამაში საინტერესო და დადებითი ემოციებით დატვირთულ გარემოში წარიმართა, რისთვისაც ძალიან დიდი მადლობა ყველა მონაწილეს და ორგანიზატორებს.
ხელმძღვანელები ქეთევან ედიბერიძე, თეა სამხარაძე, თამარ მალაღურაძე;

სკოლა ანაბასისში პროექტი „ვაქციოთ სკოლა გენდერული პასუხისმგებლობის მქონე დაწესებულებად“ აქტიურად მიმდინარეობს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) და UNFPA პროექტის „EU4 გენდერული თანასწორობა: ერთად სტერეოტიპებისა და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ“ ფარგლებში პარტნიორი ორგანიზაციის, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის (CCIIR) ორგანიზებით, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით".

ამჟამად პროექტის ფარგლებში საინტერესოდ წარიმართა პრეზენტაცია თემაზე: „ქალები ცვლილებებისთვის“, რომელიც X კლასის მოსწავლეებმა სამოქალაქო განათლებაში პირველ პროექტულ სწავლებაში შერჩეული პროექტის „ გენდერული მეინსტრიმინგისათვის" მიმართულებით დაგეგმეს.

საკითხი-გენდერული თანასწორობა/ქალთა უფლებები და გენდერული სტერეოტიპები;

პროექტის ტიპი-ადვოკატირება;

ესგ პრიორიტეტული თემა- ადამიანის უფლებები;

ინტეგრირება სხვადასხვა საგნობრივ დისციპლინებთან-ინტეგრაცია ქართულთან,ისტორიასა და ხელოვნებასთან;

მიზანი: მოსწავლეებმა გააცნობიერონ სასკოლო საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის მნიშვნელობა, შესაბამისად ხელი შეეწყოს თანასწორობის პრინციპების დასაცავად საჭირო კომპეტენციების განვითარებას.

მდგრადი განვითარების მიზნები:

N 4 მიზანი: ხარისხიანი განათლება.

N 5 მიზანი : გენდერული თანასწორობა.

N10 მიზანი: შემცირებული უთანასწორობა.

N 17 მიზანი: პარტნიორობა მიზნების მისაღწევად;

მოსწავლეებმა სასკოლო საზოგადოების წინაშე საინტერესოდ წარმოადგინეს საკუთარი შეხედულებები და დამოკიდებულებები გენდერული თანასწორობისა და გენდერული სტერეოტიპების შესახებ, მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აუცილებელია ქალთა შესაძლებლობების შესახებ არსებული სტერეოტიპების და მითების მსხვრევა;

პროექტის სამიზნე ჯგუფმა გამოაცხადა მითებისა და რეალობის კვირეული, რომელიც ეხება ქალებსა და მათ შესაძლებლობებზე წარმოდგენების ცვლილებას.

საინფორმაციო შეხვედრაზე მოსწავლეებმა წარმოადგინეს ამომწურავი ინფორმაცია ცნობილი ქალბატონების შესახებ, ვინც თავი დაამახსოვრა მსოფლიო საზოგადოებას თავისი განსაკუთრებული ღვაწლის გამო.

პედაგოგები ქეთევან ედიბერიძე და თეა სამხარაძე.



2023 წლის 1 თებერვალს საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ინიციატივით, საქართველოში უკვე მერვედ, წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე აღინიშნა, რომელშიც აქტიურად ჩაერთვნენ ანაბასისის ლიტერატურული კლუბის წევრები.
წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე მსოფლიოში ცნობილი ღონისძიებაა, რომელშიც 100 სხვადასხვა ქვეყნიდან 90 მილიონზე მეტი ადამიანი მონაწილეობს და ერთიანდება საერთო სლოგანის გარშემო: იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო!
ეს დღე ადამიანებს მთელი მსოფლიოდან შესაძლებლობას აძლევს გაერთიანდნენ, გაიზიარონ წიგნის ხმამაღლა კითხვის სიხარული და თავადაც შეიტანონ წვლილი კითხვის პოპულარიზაციაში.
ანაბასისელებმა შეხვედრაზე ისაუბრეს თავიანთ საყვარელ წიგნებზე და წაიკითხეს ამონარიდები სასურველი ნაწარმოებებიდან.
ლიტერატურული კლუბის წევრები კვირაში ერთი დღე შეიკრიბებიან სკოლის ბიბლიოთეკაში და ერთმანეთს გაუზიარებენ თავიანთი საყვარელი წიგნის შესახებ შთაბეჭდილებებს.

სკოლა ანაბასისში პროექტის „ვაქციოთ სკოლა გენდერული პასუხისმგებლობის მქონე დაწესებულებად“ ფარგლებში მორიგი აქტივობა განხორციელდა.
ამჟამად მეშვიდე კლასის მოსწავლეებმა იმსჯელეს კრიტერიუმებზე, რომლის დახმარებითაც შეარჩევდნენ წარმატებულ ადამიანებს და დაასახელეს ადამიანები, რომელთა ფოტოების განთავსებასაც ისურვებდნენ სასკოლოს სივრცეში, ვინც მათი აზრით გამოირჩევა თავისი საქმიანობით და ცხოვრების წესით.
შეხვედრაზე მეშვიდე კლასის მოსწავლე ბარაბარე კაპანაძე თანაკლასელების წინაშე წარსდგა ცნობილი ქალბატონების შესახებ საინტერესო პრეზენტაციით, ვინც თავი დაამახსოვრა მსოფლიო საზოგადოებას თავისი განსაკუთრებული ღვაწლის გამო.
პროექტი „ვაქციოთ სკოლა გენდერული პასუხისმგებლობის მქონე დაწესებულებად“ აქტიურად მიმდინარეობს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) და UNFPA პროექტის „EU4 გენდერული თანასწორობა: ერთად სტერეოტიპებისა და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ“ ფარგლებში პარტნიორი ორგანიზაციის, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის (CCIIR) ორგანიზებით, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით".
პედაგოგები ქეთევან ედიბერიძე, თეა სამხარაძე, თამარ მალაღურაძე.

დავითობა ანაბასისში.
დავითობასთან დაკავშირებით ინტელექტუალურმა კლუბმა ტრადიციული შეხვედრა გამართა, რომელიც დავით აღმაშენებლის ბიოგრაფიის შესახებ მომზადებული პრეზენტაციით დაიწყო.
მეთორმეტე კლასის მოსწავლე თეიმურაზ გოგიაშვილმა ანაბასისელ ინტელექტუალებს საინტერესო კითხვები მოუმზადა.
"რა?სად?როდის?" ინტელექტუალური თამაში დადებითი ემოციებით დატვირთულ გარემოში წარიმართა.
პედაგოგები თეა სამხარაძე და ნანა გიორგაძე.

"სტუმრად ცნობილ ადამიანებთან".
სკოლა ანაბასისში პროექტი „ვაქციოთ სკოლა გენდერული პასუხისმგებლობის მქონე დაწესებულებად“ აქტიურად მიმდინარეობს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) და UNFPA პროექტის „EU4 გენდერული თანასწორობა: ერთად სტერეოტიპებისა და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ“ ფარგლებში პარტნიორი ორგანიზაციის, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის (CCIIR) ორგანიზებით, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით".
ამჟამად პროექტის ფარგლებში საინტერესოდ წარიმართა აქტივობა „სტუმრად ცნობილ ადამიანებთან“ , რომელიც X კლასის მოსწავლეებმა სამოქალაქო განათლებაში პირველ პროექტულ სწავლებაში შერჩეული პროექტის ,, გენდერული მეინსტრიმინგისათვის" მიმართულებით დაგეგმეს.
აქტივობის მიზანი იყო ქალთა შესაძლებლობების შესახებ სტერეოტიპების და მითების მსხვრევა;
პროექტის სამიზნე ჯგუფის წევრებმა მოიძიეს ინფორმაცია მუნიციპალიტეტში თემის აქტივისტი ქალბატონების შესახებ, ვინც თავი დაამახსოვრა ზესტაფონის (და არა მარტო ზესტაფონის) საზოგადოებას თავისი საქმიანობით და პროფესიონალიზმით.
მოსწავლეები ესტუმრნენ ზესტაფონის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის ხელმძღვანელს ქალბატონ თამარ გველესიანს, რომელიც მოსწავლეებს საინტერესოდ ესაუბრა თავისი მოღვაწეობის შესახებ.
შეხვედრის დასასრულს მოსწავლეებმა ქალბატონი თამარი სკოლაში მიიწვიეს, სადაც დაგეგმილია მთელი სასკოლო საზოგადოების შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან.
მადლობა ქალბატონ თამარს საინტერესო და გულთბილი მასპინძლობისთვის, რომელიც ახალგაზრდების თქმით, მათ მეხსიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდა.
პედაგოგები ქეთევან ედიბერიძე და თეა სამხარაძე.



2023 წლის 9 თებერვალს სკოლა ანაბასისის ლიტერატურული კლუბის მორიგი შეხვედრა გაიმართა.
განხილული იქნა სოფი ჰანას „მონოგრამიანი მკვლელობები“, ნამდვილი დეტექტივი.
მეათე კლასის მოსწავლე კესო კახნიაშვილმა საინტერესოდ წარუდგინა თანატოლებს თავისი შეხედულებები და შთაბეჭდილებები ნაწარმოების შესახებ.
გასული საუკუნის 20-იანი წლების ლონდონი... ერკიულ პუაროს კონტინენტზე უკვე აქვს მოპოვებული დიდი მაძებრის სახელი, მაგრამ ნისლიან ალბიონზე პატარა ბელგიელს ჯერ არავინ იცნობს. მას მალე ეძლევა თავისი უნიკალური მაძებრული ნიჭის გამოვლენის საშუალება _ ლონდონის ერთ-ერთი ფეშენებელური სასტუმროს სამ სხვადასხვა ოთახში სამი ცხედარი იპოვეს და რაც ყველაზე უცნაურია, სამივეს პირში ერთი და იგივე მონოგრამიანი ოქროს საკინძე უდევს. ეს სამმაგი მკვლელობაა, მაგრამ რატომ და როგორ? დიდი ერკიულ პუარო ამ თავსატეხსაც ჩვეული ოსტატობით ამოხსნის.
ლიტერატურული კლუბის მიზანია, მოსწავლეებს გაუღვივოს უწყვეტი სწავლის სიყვარული, მისცეს მათ შესაძლებლობა, ენთუზიაზმით მოეკიდონ და მოიხიბლონ ლიტერატურის სამყაროთი. განივითარონ კრიტიკულ-ანალიტიკური აზროვნების უნარები,გაეცნონ სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებს და ერთმანეთს გაუზიარონ შთაბეჭდილებები.
კლუბის წევრები კვირაში ერთხელ ერთმანეთს წარუდგენენ თავიანთ საყვარელ ნაწარმოებებს, ჩაერთვებიან საინტერესო დისკუსიებსა და დებატებში იმ მრავალფეროვანი თემატიკიდან და უსაზღვრო შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რასაც მსოფლიო ლიტერატურის ფართო სპექტრი იძლევა.
კლუბის პოზიტიურსა და შემეცნებით გარემოში წახალისებულია ლიტერატურის სიყვარული.
საინტერესო და შემეცნებითი გარემო მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას თამამად გამოხატონ თავიანთი აზრი წერილობით და ზეპირმეტყველებით, მიიღონ ცოდნა და სხვასაც გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება.
პედაგოგები ქეთევან ედიბერიძე, თეა სამხარაძე, მარეხი ფორჩხიძე.

21 თებერვალი- საქართველოს კონსტიტუციის დღეა!

1 მარტს სკოლა ანაბასისში "ტვინების ბრძოლის" შიდასასკოლო ჩემპიონატი გაიმართა, რომელშიც მოსწავლეები დიდი ინტერესით და ხალისით ჩაერთვნენ.
2023 წლის გაზაფხულის სეზონზე საქართველოს ჩემპიონატის ფარგლებში, თებერვლისა და მარტის თვეები დაეთმობა "ტვინების ბრძოლის" შიდასასკოლო ჩემპიონატების" ჩატარებას.

ანაბასისის მეექვსე კლასში სასკოლო პროექტის „ჩემი კულტურა ჩემი სიმდიდრეა" ფარგლებში განხორციელდა კომპლექსური დავალების შემაჯამებელი პრეზენტაცია.
საგანი - ჩვენი საქართველო;
თემა -„ გურია-კურორტებით მდიდარი მხარე“.
კომპლექსური დავალების პირობა:
წარმოიდგინეთ, რომ ხართ ჟურნალისტი და უნდა დაწეროთ სტატია გურიის კურორტების უნიკალურობის შესახებ .
სტატიაზე/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
• როგორია თქვენს მიერ შერჩეული კურორტის გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფი და კლიმატის თავისებურებები ?
• როგორ ახდენს გავლენას ბუნებრივი პირობები და რესურსები გურიის რეგიონში მეურნეობის დარგების მიმართულებასა და ადამიანთა საქმიანობაზე?
• გურიაში მცხოვრები ადამიანებისთვის რამდენად მნიშვნელოვანია კურორტების განვითარება? რატომ არის საჭირო კურორტის შენარჩუნება და მისი დაცვა ?
• როგორ დააინტერესებ ტურისტს გურიაში არსებული კურორტებით?
• რა საშუალებებით ზრუნავს/უნდა ზრუნავდეს სახელმწიფო კურორტების განვითარებით?
მოსწავლეებმა საინტერესოდ წარმოაჩინეს საკუთარი ცოდნა/დამოკიდებულებები გურიის და ზოგადად, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ;
გაკვეთილზე მონიტორინგს ახორციელებდა სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფი.
ჩვენი საქართველოს პედაგოგი თეა სამხარაძე.

სკოლა ანაბასისის ეკოკლუბის და სამოქალაქო განათლების კლუბის წევრთა ინიციატივით , სკოლის დირექციის და მთელი სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით, მშობლების გვერდით დგომით და დახმარებით უკრაინელი თანატოლებისა და მათი ოჯახებისთვის წამოწყებულ საქველმოქმედო ჰუმანიტარულ აქციას ანაბასისელებიც შეუერთდნენ.
სკოლაში შეგროვებული ჰუმანიტარული დახმარება ანაბასისელებმა გამგეობაში არსებულ ცენტრში მიიტანეს, შეგროვებული თანხით კი სურსათ-სანოვაგე და ტკბილეულობა თავად მოსწავლეებმა შეარჩიეს თანატოლებისთვის პირველადი მოხმარების ნივთებთან ერთად, უკრაინაში გასაგზავნად თავად გაამზადეს ყუთები, რომელშიც თანატოლთა გასამხნევებლად სითბოთი და სიყვარულით სავსე წერილებიც ჩადეს და საქართველოს ფოსტის დახმარებით პირდაპირ უკრაინაში გაგზავნეს.



დედაჩემი ყველაზე ლამაზი ქალია....
ანაბასისის წამყვანმა პედაგოგმა შორენა მუმლაძემ პირველ ბ კლასში საზეიმო გაკვეთილი ჩაატარა: ,,გაზაფხული და დედა".ჩვენი პატარები ლამაზი სტრიქონებით ეფერებოდნენ გაზაფხულს და დედას. გაზაფხულზე იღვიძებს ბუნება და ირგვლივ ყველაფერი ასმაგად ლამაზია. არემარე ივსება ნათელი ფერებით, მზე სასიამოვნოდ აცხუნებს. მზე აცხუნებს, მაგრამ დედა გვათბობს.
გაზაფხულზე აღინიშნება ლამაზი დღესასწაულები დედის დღე, 8 მარტი. დედა გვასწავლის სიბრძნეს, გვაძლევს რჩევებს, მზრუნველობს ჩვენზე , გვიცავს... დედობრივ სიყვარულს საზღვარი არ აქვს. ჩვენთვისაც ყველაზე ძვირფასი ადამიანი დედაა...ემოციური იყო მათი პასუხი კითხვაზე ,, ვისი დედიკოა ყველაზე ლამაზი?". ყველა ერთხმად აცხადებდა ,,დედაჩემი ყველაზე ლამაზი ქალია.... „მრავალფეროვანი ეპითეტებით შეამკეს დედა და თავისი მოსაზრებები გულმოდგინედ დააფიქსირეს კოგნიტურ სქემაზე . ამაყად გვაჩვენეს ,რომ მათ უკვე წერა შეუძლიათ და უცხო ტექსტის კითხვაც არ არის მათთვის ძნელი. დედიკოებს პირველი ყველაზე ძვირფასი საჩუქარი გაუკეთეს- თავიანთი ხელით შექმნილი მისალოცი ბარათები, გულმოდგინედ გამოყვანილი ასოებით, სავსე თბილი სიტყვებით და სიყვარულით!

რეალობა და გენდერული სტერეოტიპები

ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებლის მარეხ ფორჩხიძის ს გაკვეთილი მე-7ა კლასში ,, რეალობა და გენდერული სტერეოტიპები ''საინტერესოდ წარიმართა . საგაკვეთილო თემის არჩევა მოსწავლეების აქტიური ჩართულობით მოხდა. ინსპირაცია კი ნოდარ დუმბაძის ,,ჰელ ადოსის" შესწავლა გახლდათ.

,,- ეეე, სკრიპკა! - მომესმა უცებ. გაკვირვებულმა მოვიხედე.

იანგულის ცალი თვალი მოეჭუტა, კისერი მოეღრიცა, ენა გამოეყო და მარჯვენა ხელს მარცხენაზე ხერხივით ისობდა. მივხვდი, მე მაჯავრებდა ვიოლინოს დაკვრაში. ბრაზისგან გული ყელში მომებჯინა.'' -ჯემალის ემოცია გაიზიარეს ანაბასისის მეშვიდე კლასელებმა. თხოვეს პედაგოგს ცალკე საგაკვეთილო დრო სტეროტიპებსა და რეალურ ფაქტებზე მსჯელობას დასთმობოდა.

  მოსწავლეებმა ისაუბრეს სტერეოტიპებზე , რომლებიც ტრადიციის მსგავსად ხშირ შემთხვევაში თაობიდან , თაობას გადაეცემა. გენდერული სტე რეოტიპები-ესაა წარმოდგენები, შეხედულებები, ცრურწმენები ქალისა და მამაკაცის ფუნქციის, შესაძლებლობების, სტატუსის შესახებ. სტერეოტიპულ დამოკიდე ბულებას ხშირად ვხვდებით სპორტში, მუსიკაში, ოჯახური როლების გადანაწილებაში.,

სწორედ ამ სტრეოტიპებს დაუპირისპირეს მოსწავლეებმა რეალური ფაქტები რომელიც ადასტურებსქალებისა და მამაკაცების თანაბარიმიღწევებს სპორტში, მუსიკაში , მეცნიერებაში. ..მასწავლებელი ასრულებდა ფასილიტატორის როლს . მოსწავლეებთან ერთად შეაჯამა გაკვეთილი. სტერეოტიპები ხშირად ვერ აღწერენ რეალობას და საზოგადოების განვითარების შეფერხებაც შეიძლება გამოიწვიონ. წარმატებებებ ქალბატონ მარეხს თავის მოსწავლეებთა ნ ერთად!.

გაზაფხულია ბედნიერება.....

საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლების ვორკშოპი ილიაუნში

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მოსწავლეებისთვის ინტელექტუალური პროექტის "რა? სად? როდის?" განხორციელება იწყება, რომელშიც 36 საჯარო და კერძო სკოლა ჩაერთვება.
თითოეული სკოლა ერთი გუნდით იქნება წარმოდგენილი.
პროექტის მიხედვით გამოვლინდება სამი საუკეთესო გუნდი.
ინტელექტუალური თამაშის მიზანია სწავლასა და განათლებაზე ორიენტირებული პროექტების განხორციელება მუნიციპალიტეტში. მოტივირებული ახალგაზრდების გამოვლენა და მათი ხელშეწყობა.
მადლობა საინტერესო შემოთავაზებისთვის!
წარმატებები ჩვენს ინტელექტუალებს!

21 მარტი დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეა! ზესტაფონის #2 საჯარო სკოლის მოსწავლეების ორგანიზებით მოეწყო ამ დღისადმი მიძღვნილი ძალიან საინტერესო ღონისძიება:დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების მხარდაჭერასთან და სოლიდარობასთან ერთად ბავშვებმა მოაწყვეს საქველმოქმედო აქცია კერძო სკოლა ანაბასისის, სკოლა ორნატისა და ქვედა საზანოს #1 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად.მათ თავიანთი შექმნილი ხელნაკეთი ნივთები,სხვადასხვა აქსესუარები,სათამაშოები,წიგნები და ნახატები გამოიტანეს გასაყიდად.შეგროვებული თანხა გადაირიცხა უკრაინელი თანატოლების დასახმარებლად საქველმოქმედო ფონდში.ასევე დაასაჩუქრეს დღის ცენტრი - "ორიონის"აღსაზრდელები. ერთობლივად განხორციელებული ღონისძიებით კიდევ უფრო გამყარდა სკოლებს შორის ურთიერთობა რაც მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება

2023 წლის 23 მარტს სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის ლიტერატურული კლუბის წევრებმა თავიანთ მორიგ შეხვედრაზე ქალბატონ თამარ გველესიანს უმასპინძლეს.
ქალბატონმა თამარმა 1984 წელს დაამთავრა, ქალაქის #4 საჯარო სკოლა, ფიზიკა-მათემატიკური ჯგუფი. 1987 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სამკურნალო ფაკულტეტზე, რომლიც წარმატებით დაამთავრა 1993 წელს.
ქალბატონი თამარი სერთიფიცირებული ექიმია. 2008-2010 წწ გაიარა ოქსფორდის უნივერსიტეტის უმაღლესი მენეჯმენტის სრული კურსი. 2008 წლამდე მუშაობდა ექიმ თერაპევტად. 2008 წლიდან, დღემდე მუშაობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ზესტაფონის მუნიციპალური ცენტრის დირექტორად.
ქალბატონი თამარი მრავალმხრივი ნიჭითაა დაჯილდოებული, ის დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობს საზოგადოებაში. ქალბატონი თამარი ბავშვობიდან წერს ლექსებს, რომლებიც იბეჭდებოდა „ენის სახლსა'' და „უქიმერიონში''.

„ადამიანი ბუნების გარეშე არაფერია და ბუნება ადამიანის გარეშე“.
ანაბასისის IIIბ კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ეკა ჯიმშიაშვილი) საინტერესო და მრავალფეროვანი გზა გაიარეს პროეტის განსახორციელებლად თემაზე „ადამიანი ბუნების გარეშე არაფერია და ბუნება ადამიანის გარეშე“.
ბუნება როგორც ცნობილია სხვადასხვა სახის ცოცხალი სამყაროს ყველაზე დიდი შემოქმედია. გაზაფხული ყველაზე მშვენიერია წელიწადის დროთაგან. გაზაფხულზე ბუნება ძალიან ლამაზია, მზე თავის მოციქულს გზავნის დედამიწაზე, იღვიძებს ბუნება და აყვავებას იწყებს გასაოცარი სურნელების, გარეგნობისა და ფერის ყვავილები

2023 წლის 30 მარტს სკოლა ანაბასისის მეშვიდე ბ კლასის მოსწავლეებმა ინგლისურ ენაში პროექტის -„ ვიქტორიანული ინგლისი“. პრეზენტაციები წარმოადგინეს. პედაგოგები ნაზიბროლა სვანიძე , ნანა ფერაძე. მოსწავლეებმა ისაუბრეს დედოფალ ვიქტორიასა და დეფოფალ ელიზაბეტ II ის მეფობის პერიოდზე და იმდროინდელ განათლებაზე. პარალელები გაავლეს თანამედროვე ეპოქასთნ . არგუმენტირებულად დაასაბუთეს თავიანთ მოსაზრებები , გაგვაცნეს ის გზა რაც გაიარეს პროექტის განხორციელების პროცესში , რა სირთულეები შეხვდათ , როგორ გადაჭრეს პრობლემები, რა ცოდნა და უნარები შეიძინეს პროექტზე მუშაობის პროცესში , როგორ შეივსო მათი ლექსიკური მარაგი ინგლისურ ენაში და დანვითარდა მათი სამეტყველო , საკომუნიკაციო უნარები, ობიექტურად მოახდინეს თვითშეფასება და გამოხატეს მზადყოფნა ინგლისურ ენაზე სხვადასხვა თემატიკის პროექტები გნახორციელონ. გაკვეთილზე მონიტორინგს ახორციელებდა სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფი და უცხოური ენების კათედრა.

შთამბეჭდავი ლიტერატურული კომპოზიცია!

შეხვედრაზე მოსწავლეებმა მოუწოდეს მთელი მსოფლიოს ადამიანებს უპატრონო ცხოველებისადმი გამოიჩინონ ჰუმანური დამოკიდებულება, იზრუნონ მათზე, მისცენ სახლი და დაეხმარონ!

„მოგზაურობა ზღაპრის ჯადოსნურ სამყაროში“
ანაბასისის მე-3 ბ კლასის მოსწავლეები (მასწავლებელი ეკა ჯიმშიაშვილი, სკოლის ბიბლიოთეკარი თამარ გვალია)ესტუმრნენ რაიონის საბავშვო ბიბლიოთეკას. საბავშვო ლიტერატურის საერთაშორისო დღისა და გამოჩენილი დანიელი მწერლის ჰანს კრისტიან ანდერსენის დაბადების დღის აღსანიშნავად.
ყველასათვის ცნობილია თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ბავშვებისათვის თვალსაწიერის გაფართოება და მათთვის წიგნების შეყვარება. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ბავშვების სტუმრობა ბიბლიოთეკაში. მოსწავლეებმა ისაუბრეს ანდერსენის ბიოგრაფიაზე და შემოქმედებაზე. წაიკითხეს ანდერსენის ზღაპრები და იმოგზაურეს ზღაპრების ჯადოსნურ სამყაროში.
დიდი მადლობა რაიონის საბავშვო ბიბლიოთეკის თანამშრომლებს გულთბილი მასპინძლობისათვის , მოსწავლეებისა და მათი პედაგოგების გაწეული საქმიანობის მაღალ დონეზე შეფასებისათვის !
თანამშრომლობა ყველა კარგი საქმის წარმატების საწინდარია!

რთულ ქცევასთან გამკლავების გზები!

ყველა ადამიანი უნიკალურია!
2007 წელს 18 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2 აპრილი აუტიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მსოფლიო დღედ გამოაცხადა. აპრილის თვე აუტიზმის მსოფლიო თვედაა აღიარებული და აუტიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლებას ეძღვნება.
სკოლა ანაბასისის ეკოლოგთა, მკვლევართა, სამოქალაქო კლუბის წევრებმა ჩაატარეს სემინარი სკოლის მოსწავლეებისათვის, რომლის მიზანი აუტიზმთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება იყო. მე-8 კლასის მოსწავლეებმა ანი კობერიძემ და ანასტასია ჯუღელმა წარმოადგინეს პრეზენტაცია და ისაუბრეს აუტიზმზე, აუტისტური სპექტრის დამახასიათებელ ნიშნებზე, გამომწვევ მიზეზებზე, მკურნალობის მეთოდებზე, თერაპიის ტიპებზე. აუტიზმის მქონე ცნობილი ადამიანების შესახებაც მიაწოდეს ინფორმაცია, მათი რიცხვი არცთუ ცოტაა. ბილ გეიტსი, ლიონელ მესი, ენტონი ჰოპკინსი ....

სპორტი ხელს უწყობს სამყაროში პოზიტიურ ცვლილებებს!
2013 წელს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, 6 აპრილი სპორტის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. მიღებული დადგენილების თანახმად, 2014 წლიდან, ყოველი წლის 6 აპრილს, საქართველო მსოფლიოსთან ერთად აღნიშნავს ამ თარიღს. ჩვენი ქვეყანა ყოველწლიურად ღირსეულად უერთდება ინიციატივას, რომელიც მსოფლიოში სპორტის საშუალებით მშვიდობის დამკვიდრებისა და განვითარებისკენაა მიმართული.

„გაზაფხული -რწმენა, იმედი...“ .
სკოლა ანაბასისში მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების წარმოჩენასა და განვითარებას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა. სწორედ ამიტომ, სკოლაში მრავალფეროვანი ღონისძიებები და აქტივობები იმართება.
მე-7 ბ კლასის მოსწავლეებმა გაზაფხულის ღონისძიება ჩაატარეს, რომელსაც ხელმძღვანელობდა კლასის დამრიგებელი თამარ მალაღურაძე. ღონისძიების დევიზი იყო - „გაზაფხული -რწმენა, იმედი...“ .
ღონისძიება მრავალფეროვანი აქტივობებით იყო გაჯერებული, რაც საოცარ სადღესასწაულო განწყობას ქმნიდა.მხატვრულ ნომერს სიმღერა და ცეკვა ცვლიდა. ყველა ნომერი დიდი მონდომებით და პასუხისმგებლობით წარმოადგინეს მეშვიდე კლასელებმა. ამ ლამაზი ნომრების მომზადებაში მათ მუსიკის პედაგოგი თეა მიქაბერიძე და ცეკვის პედაგოგი სოფო ცქიტიშვილი დაეხმარათ.
ღონისძიების მომზადების პროცესში აქტიურად იყო ჩართული სკოლის ბიბლიოთეკარი თამარ გვალია.
მოსწავლეებმა თავიანთი შესაძლებლობები სრულად წარმოაჩინეს და ლამაზი საღამო აჩუქეს თავიანთ მშობლებს და სხვა დამსწრე საზოგადოებას.
ღონისძიების კონკრეტული ადრესატები მოსწავლეთა დედიკოები იყვნენ.თავიანთი დამოკიდებულება ლექსში , გამონათქვამებში გააცოცხლეს და მოეფერნენ დედებს. „დედა მარტო დედა არაა! ყველაფერია რაც ამ ქვეყანასთან გვაკავშირებს, რასაც სიცოცხლე ჰქვია, რასაც სული უდგას და მზე უცქერის.'' – ოტია იოსელიანი. „თუ დედა არ გენატრება და არც არაფრის გეშინია, სიცოცხლეს ფასი არ ჰქონია შენთვის. დედის მონატრებაა ადამიანობა"'... – ოთარ ჭილაძე.
ემოციურად მიულოცეს გაზაფხული დამსწრე საზოგადოებას„გაზაფხულივით ლაღები და ლამაზები ყოფილიყავით ძვირფასო ქალბატონებო, ყოველი დღე გეამაყოთ საკუთარი თავითა და საყვარელი ადამიანების მზრუნველი მზერით. დიდხანს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას გისურვებთ! '' მიმართეს მათ დარბაზს.
მსგავსი ღონისძიებები მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებასა და მოტივაციის ამაღლებას უწყობს ხელს . წარმატებები ჩვენს მოსწავლეებს

ჯანმრთელობა, როგორც უფლება თუ პრივილეგია?
2023 წლის 7 აპრილს, ჯანდაცვის მსოფლიო დღეს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ აღნიშნა 75 წლის იუბილე. სკოლა ანაბასისში ეს დღე მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნა.



🌟 🥰

ტვინების ბრძოლა! საქართველოს ჩემპიონატი გუნდურ-ინტელექტუალურ თამაშში!

2023 წლის 2 აპრილს ტვინების ბრძოლის იმერეთის რეგიონულ ჩემპიონატს, ქალაქ ზესტაფონში, კონსტრუქტ2 • Construct2 მასპინძლობდა .

ტვინების ბრძოლის მიზანია ახალგაზრდობის თვითრეალიზაციისთვის ხელის შეწყობა, წიგნიერების პროპაგანდა მოსწავლე ახალგაზრდებში და ცოდნის წახალისება.

სკოლა ანაბასისის გუნდმა „ ვარსკვლავები “ , რომლის წევრები არიან -დავით აბაშიძე, თეკლა ლუტიძე, მათე კობახიძე, ამირან კაკაურიძე, სანდრო ლეჟავა- წარმატებით იასპარეზა რეგიონულ ჩემპიონატზე და მონაწილეობას მიიღებს ფინალურ თამაშში, რომელიც გაიმართება 2023 წლის 23 აპრილს;

ფინალში გამოვლინდება სამივე ასაკობრივი კატეგორიის ქვეყნის ჩემპიონები.

ჩემპიონატის მთავარი პრიზი "ინტელექტუალური ფესტივალის საგზური" - იგივე ტვინების ბრძოლის საზაფხულო ბანაკია.

წარმატებები ანაბასისის „ვარსკვლავებს “

ტვინების ბრძოლის ხელმძღვანელი პედაგოგი თეა სამხარაძე.

კლასის ხელმძღვანელი ეკატერინე ჩაჩიბაია.

ლეგენდები ტაურაგეზე

საერთაშორისო პროექტის „ ლეგენდები ტაურაგეზე“მოთხოვნებს სკოლა ანაბასისის მასწავლებლები და მოსწავლეები გულმოდგინედ და პასუხისმგებლობით გაეცნენ. ერთად წაიკითხეს ლეგენდები ტაურაგეზე , გაიაზრეს მიღებული ინფორმაცია, რომელიც გახდა მოსწავლეთა შთაგონების წყარო . სწორედ მათზე დაყრდნობით და ფანტაზიით შექმნეს მრავალფეროვანი ნახატები. ზესტაფონის მერიის ორგანიზებით კი პროექტში მონაწილე სკოლებიდან წარმოდგენილი ნახატები ზესტაფონის სამხატვრო გალერიის საგამოფენო დარბაზში განთავსდა და დამთვალიერებლების გულწრფელი მოწონება დაიმსახურა.სკოლა ანაბასისიდან წარმოდგენილი იყო მასწავლებლების მარიამ ჭულუხაძის , თამარ ვეფხვაძის, ეკა ჯიმშიაშვილის , ლანა ჩუბინიძის მოსწავლეთა ნამუშევრები. შერჩეულ ნამუშევრებს შორის ორი ანაბასისელი მოსწავლის ნამუშევარი მოხვდა: სალომე შერგელაშვილის , (პედაგოგი მარიამ ჭულუხაძე) და ლუკა ხუსკივაძის (პედაგოგი ეკა ჯიმშიაშვილი.) ყველა მონაწილის ნანუშევრის ელექტრონული ვერსია გადაგზავნილია ტაურაგეში და ისინი საერთაშორისო კონკურსის მონაწილეები არიან. ვულოცავთ მათ მიღწეულ წარმატებას. ჩვენი მოსწავლეთა ნამუშევრები პირველ ივნისს ტაურაგეში გამოიფინება და შეფასდება. პროექტის ხელმძღვანელი ზესტაფონის საპატიო მოქალაქე , ტაურაგეს ხელოვნების სკოლის დირექტორი იოლანტა კაზლაუსკიანეა, ზესტაფონში კი კოორდინირება ორგანიზაცია „ლიტველი მეგობრების“ დამფუძნებელმა ტაურაგეს საპატიო მოქალაქე ზეინაბ გველესიანმა გაუწია. დიდი მადლობა პროექტის ორგანიზატორებს საინტერესო პროექტის შემოთავაზებისათვის, დიდი მადლობა მონაწილეებს აქტიური ჩართულობისათვის.

მაკულატურიდან მწვანე ნერგებამდე !

სკოლა ანაბასისის ეკოლოგთა , მკვლევართა, სამოქალაქო კლუბის ინიციტივით სკოლაში მაკულატურის შეგროვების აქცია წარმატებით დასრულდა. აქციაში აქტიურად ჩაერთო ყველა კლასი. შეგროვებული იქნა 321 კგ მაკულატურა , რომელიც ერთ-ერთ კომპანიას ჩაბარდა და ნარგავების შეძენის ყულაბა 96 ლარით შეივსო. აღნიშნული თანხით შეძენილი იქნება მარადმწვანე ხის ნერგები სკოლის ეზოში დაირგვება, ისინი გალამაზებენ და გააჯანსაღებენ გარემოს.

ნარჩენების დახარისხებას და გადამუშავებას დღეს მსოფლიოში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. მაკულატურა ნარჩენების ერთ-ერთი სახეა. მისი გადამუშავება, ტყის გაჩეხვასაც შეამცირებს, რადგან 1 ტონა მაკულატურის გადამუშავება 17 ხის გადარჩენას ნიშნავს. ქაღალდის ნაწარმი შეგიძლია, გადაყრის ნაცვლად შეინახო, ამით მარტივად შეგვიძლია, რომ მეორეული ქაღალდის წარმოებას შევუწყოთ ხელი. ასევე ნაკლებად დავაბინძურებთ ისედაც უკვე ძალიან დაბინძურებულ გარემო და გადავარჩენთ ის ხეები, რომლებიც რეალურად ამ ქაღალდისთვის იჭრება. ქაღალდის წარმოების პროცესი მოითხოვს უამრავ დროსა და ენერგიას. მაკულატურის გადაამუშავებით – ნაკლები ენერგია იხარჯება.

როგორც წესი, ზოგადად, როდესაც ქაღალდს ვყრით ქუჩაში, ის ნაგავსაყრელად იქცევა, რაც ცუდად იმოქმედებს ეკოლოგიაზე. ამის შედეგად კი, ეს ნაგავსაყრელები აბინძურებენ ჰაერს სხვადასხვა ტოქსიკური აირის გამოყოფით. ქაღალდის გადამუშავება გვეხმარება, დედამიწა ნაკლებად ჭუჭყიანი და დაბინძურებული ადგილსამყოფელი გავხადოთ. ქაღალდის გადამუშავებას ნაკლები ენერგია სჭირდება, ამის შედეგად, ეს უზრუნველყოფს ატმოსფეროში ნაკლები რაოდენობის მეთანისა და ნახშიროჟანგის არსებობას. ასე, რომ ქაღალდის გადამუშავება და მაკულატურის ჩაბარება უკეთ სუნთქვის საშუალებას გვაძლევს. ქაღალდის დასამზადებლად, ხეების მოჭრა გარდაუვალია.ყოველწლიურად, ქაღალდის დასამზადებლად, ასობით ათასი ახალი ხე იჭრება.ქაღალდის გადამუშავებამ შესაძლოა მნიშვნელოვნად შეამციროს ხეების ჭრა და განადგურება. ეს კი საშუალებას იძლევა ეკოსისტემა გაჯანსაღდეს.

დიდი მადლობა ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს მაკულატურის შეგროვების აქციაში აქტიური ჩართულობისათვის.

ერთად ბევრი კარგი საქმის კეთებას შევძლებთ!

ანაბასისის ინტელექტუალების წარმატება!
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხარდაჭერით საჯარო და კერძო სკოლებს შორის ინტელექტუალური თამაში "რა? სად? როდის?" გაიმართა.
👥📝 კონკურსში 33 საჯარო და კერძო სკოლა იღებდა მონაწილეობას. პირველი ადგილი პირველი სვირის საჯარო სკოლას ერგო, მეორე ადგილზე სკოლა "ანაბასისი", ხოლო მესამე საკონკურსო ადგილი მეხუთე საჯარო სკოლამ დაიკავა. თამაშის წამყვანი ცნობილი ტელეშოუს "რა? სად? როდის?" ავტორი გიორგი მოსიძე გახლდათ.
👥 ინტელექტუალური თამაშის მონაწილეებს ზესტაფონის საკრებულოს თავმჯდომარე ვახტანგ ღამბაშიძე, მერი, ვასილ გველესიანი, მაჟორიტარი დეპუტატი, ბეჟან წაქაძე, საკრებულოს, მერიის და რესურს ცეტრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სკოლა ანაბასისის ინტელექტუალთა გუნდმა ღირსეულად წარმოაჩინა საკუთარი შესაძლებლობები! ვულოცავთ მიღწეულ წარმატებას გუნდის წევრებს: გიორგი ფერაძეს, თემო გოგიაშვილს, სანდრო ფუტკარაძეს, დავით ჯღამაძეს, თამარ კაპანაძეს, ანანო შერგელაშვილს. გუნდი მოამზადა სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერმა თეა სამხარაძემ.

,, ნუ შეაჩერებ სამყაროს სუნთქვას“
სკოლა ანაბასისის მესამე კლასელებმა (პედაგოგები ლოლიტა ნებიერიძე , ეკა ჯიმშიაშვილი) ,,დედამიწის დღის ‘’ კვირეული ფარგლებში , განახორციელეს პროექტი ,, ნუ შეაჩერებ სამყაროს სუნთქვას“.

,, ვკითხულობთ, ვიაზრებთ , გადმოვცემთ“

23 აპრილი წიგნის დღეა, მკითხველის დღესასწაულია, მკითხველის, რომელიც წიგნიდან წიგნამდე მოგზაურობა, იზრდება , სწავლობა, იცვლება. სწორედ ამ დღესთან იყო დაკავშირებული პროექტი: ,, ვკითხულობთ, ვიაზრებთ , გადმოვცემთ“ , რომელიც წარმატებით განხორციელდა პირველ ბ კლასში, მასწავლებელ მარინა ჭულუხაძის ხელმძღვანელობით. მოსწავლეებმა იაკობ გოგებაშვილის დედა ენიდან თავიანთი სურვილით აირჩიეს ნაწარმოებები , რომელშიც მოთხრობილი ამბებზე ნახატები შექმნეს, და პრეზენტაციები გააკეთეს თანაკლასელების წინაშე. პრეზენტაციების წარმოდგენისას , მოსწავლეებმა გამოავლინეს წაკითხულის აღქმის უნარი, მეტყველებდნენ გამართულად, მათ მიერ შექმნილ ნახატებში გამოჩნდა კარგად განვითარებული მოტორიკა და ის შთაბეჭდილებები რაც ნაწარმოების კითხვამ მოახდინა მათზე. წარმოდგენილმა გამართულმა პრეზენტაციებმა აჩვენა რომ ჩვენ პირველკლასელებში დიდია მოტივაცია, პასუხისმგებლობა, დამოუკიდებლობის ხარისხი. მასწავლებელი იყო ფასილიტატორი და აფასებდა მოსწავლეთა ნამუშევარს. პროექტის პრეზენტაციას ესწრებოდა სკოლის ფსიქოლოგი-მარიამ წერეთელი და დირექციის წარმომადგენლები, მათ დადებითად შეაფასეს მოსწავლეთა ნამუშევრები. წარმატებები პედაგოგს თავის აღსაზრდელებთან ერთად!

წიგნი ერთგული მეგობარი!

“არც ერთი მეგობარი არაა ისეთი ერთგული, როგორც კარგი წიგნი,” – ამბობდა ჰემინგუეი. მართლაც, წიგნებს სხვანაირი მაგია აქვთ, ფაქტობრივად, არასდროს გიღალატებენ…. 23 აპრილს – წიგნის საერთაშორისო დღე აღინიშნება . 2019 წელს ამ დღეს საქართველოში ასევე დაწესდა წიგნის ჩუქების დღეც, რომლის მიზანიც საქართველოში ზოგადად წიგნის და წიგნიერების პოპულარიზაცია იყო. რაც შეეხება წიგნის საერთაშორისო დღეს, ის სათავეს 1923 წლიდან იღებს. ანაბასისის მეოთხე კლასისის მოსწავლეები(დამრიგებელი -ლანა ჩუბინიძე) შეუერთდნენ ამ აღსანიშნავ და მეტად საინტერესო ღონისძიებას,თავინთი სურვილით შეარჩიეს სხვადასსხვა წიგნიდან როგორც ლექსები, ასევე გამონათქვამები… ბიბლიოთეკარმა თამარ გვალია მოსწავლეებს ესაუბრა წიგნის საერთაშორისო დღის შესახებ , აჩვენა წიგნის სხვადასხა სახეები მინიატურული , დიდი ზომის ილუსტრირებული წიგნები, ხმოვანი წიგნები , 3D ფორმატის წიგნები, წიგნები რომელსაც ახლავს საინტერესო ფაზლები და სხვა. როგორიც არ უნდა იყოს
წიგნი, ის საშუალებას გვაძლევს დავფიქრდეთ, ვეძიოთ და აღმოვაჩინოთ ჩვენთვის ფასეული რამ, რომელიც დიდ სიხარულს მოგვანიჭებს.ამისთვის კი მხოლოდ სამი რამ უნდა გავაკეთოთ-ავიღოთ ჩვენთვის სასურველი წიგნი, მოვკალათდეთ და დავიწყოთ კითხვა.

ღონისძიების დასასრულს მოსწავლეებმა ერთმანეთს წიგნები გაუცვალეს, რომელიც საგულდაგულოდ შეარჩიეს ამ დღისათვის და იმედოვნებენ მეგობრები ინტერესით გაეცნობიან მათში მოთხრობილ ამბებს.

წარმატებები ჩვენს მოსწავლეებს და პედაგოგ ლანა ჩუბინიძეს.

გვიყვარს ჯანსაღი და სუფთა დედამიწა!
სკოლა ანაბასისის მეორე ბ კლასში (ხელმძღვანელი ანი კახნიაშვილი) განხორციელდა პროექტი თემაზე „ გვიყვარს ჯანსაღი და სუფთა დედამიწა“. ყოველის წლის 22 აპრილს გარემოს დაცვის მიზნით მხარდასაჭერი ღონისძიებები იმართება . მეორე ბ კლასიც დიდი მონდომებით შეუერთდა ამ დღეს. დედამიწა ჩვენი სახლია, მას კი ჩვენგან მოვლა და მზრუნველობა სჭირდება. პროექტის მიზნებია: . . მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მოძიება, როგორც სახელმძღვანელოებიდან ასევე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. . მოსწავლეებმა გაიუმჯობესონ წერითი და შემოქმედებითი უნარები, გაიღრმაონ ცოდნა დედამიწის შესახებ და ისწავლონ რომ დედამიწას გაფრთხილება სჭირდება. მოსწავლეებმა წიგნებიდან და თანამედროვე ტექნოლოგიებიდან მოძიებული ინფორმაცია გადმოსცეს. ისაუბრეს დედამიწაზე, მის კონტინენტებზე, ტყის ბინადარ ცხოველებსა და მცენარეებზე. საფრთხეებზე, რომელიც დედამიწას ემუქრება ადამიანების დაუდევრობის გამო და ამ საფრთხეების აღმოფხვრის გზებზე. ასევე ლამაზი ლექსებით მოეფერნენ დედამიწასა და ულამაზეს ბუნებას. პროექტის შემდეგ კი დაასუფთავეს ეზო და მცირედი წვლილი შეიტანეს დედამიწაზე ზრუნვაში. პროექტში ჩართული იყო პედაგოგი ეკა ჯიმშიაშვილი. ვულოცავთ პედაგოგ ანა კახნიაშვილს და მის აღსაზრდელებს პროექტის წარმატებით განხორციელებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 14 მარტის N 291575 ბრძანების „განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცდილებისა და მიღწევების მქონე ღვაწლმოსილი მასწავლებლისთვის/სპეციალური მასწავლებლისთვის ან/ და ზოგად განათლებაში განსაკუთრებული დამსახურების მქონე მასწავლებლისთვის სქემით განსაზღვრული ერთ-ერთი სტატუსის მინიჭების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“- შესაბამისად შექმნილმა კომისიამ შეისწავლა სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის ქიმიის მასწავლებლის ქეთევან ედიბერიძისთვის , სამოქალაქო განათლების მასწავლებლისთვის თეა სამხარაძისთვის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის კობა სვიანაძისთვის მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული ერთ-ერთი სტატუსის მინიჭების საკითხი.
კანდიდატების საქმიანობა შეფასდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
ა) ეროვნულ დონეზე არსებული მასწავლებლის კომპლექსური შეფასება;
ბ) საერთაშორისო დონეზე არსებული მასწავლებლის კომპლექსური შეფასება.
კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად , სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის ქიმიის მასწავლებელს ქეთევან ედიბერიძეს და სამოქალაქო განათლების მასწავლებელს თეა სამხარაძეს მიენიჭათ სქემით განსაზღვრული მენტორი მასწავლებლის სტატუსი,
ხოლო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელს კობა სვიანაძეს უფროსი მასწავლებლის სტატუსი.
ვულოცავთ ჩვენს პედაგოგებს დამსახურებულ აღიარებას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს ჩვენი მომავალი თაობის სასიკეთოდ და საკეთილდღეოდ.



ჩვენი ონკანის წყალი

სასმელი წყალი — წყალი რომელიც უსაფრთხოა დასალევად ან საკვების მოსამზადებლად. კარგი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად საჭირო სასმელი წყლის რაოდენობა განსხვავდება და ეს დამოკიდებულია ფიზიკურ აქტივობაზე, ასაკზე, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებსა და გარემო პირობებზე. ჩვეულებრივ, განვითარებულ ქვეყნებში ონკანის წყალი აკმაყოფილებს სასმელი წყლის სტანდარტებს. როგორი წყალი მოედინება ჩვენს ონკანებში ? ამ კითხვაზე კომპეტენტური პასუხის მისაღებად ეკოლოგთა, მკვლევართა და საოქალაქო განათლების კლუბის წევრები (კლუბების ლიდერები : თეა სამხარაძე, ქეთევან ედიბერიძე, თამარ მალაღურაძე)საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ზესტაფონის სერვის ცენტრს ეწვიენ და გაესაუბრნენ ხარისხის კონტროლის სპეციალისტებს მარიამ ღიბრაძეს და რუსუდან სარალიძეს . მდინარე ყვირილას წყალი მიწისქვეშა ბუნებრივი ფიტრატის გავლით შემოდის წყალშემკრებებში, მუშავდება ქლორით , ვიდრე ქსელში წავა მოწმდება ორგანოლეპტიკურად, ბაქტეორიოლოგიურად და ქიმიურად. წყალი რომელიც სტანდარტს აკმაყოფილებს ქსელში ნაწილდება და ჩვენს ონკანებში მოედინება. თუმცა წყლის კონტროლი გეგმიურად ყველა ქუჩაზე ხდება . ყოველდღიურად 4 ქუჩის წყალი მოწმდება ადგილზე, შედეგები რეგიონალურ ლაბორატორიაში გადამოწმდება, თვეში ერთხელ კი საქართველოს წყალმომარაგების კომპანია ამოწმებს ჩვენს წყალს, კვარტალში ერთხელ სურსათის უვნებლობა. წყლის შემოწმება არაგეგმიურადაც ხდება დაზიანების დროს, რეზერვუარის დამუშავების შემდეგ. ასე რომ ჩვენი ონკანის წყალი არაერთგზის შემოწმებას გადის. ჩვენმა მასპინძლებმა მოსწავლეებს უჩვენეს როგორ ახორციელებნენ წყლის ორგანოლეპტიკურ, ბაქტეოროლოგიურ და ქიმიურ შემოწმებას. ამ პროცესებზე დაკვირვება ძალიან საინტერესო იყო. რაც მთავარია მივიღეთ კომპეტენტური პასუხი კითხვაზე როგორი წყალი მოედინება ჩვენს ონკანებში. დიდი მადლობა ჩვენს მასპინძლებს ქალბატონ მარიამს და ქალბატონ რუსუდანს.

როგორ შეიძლება განვსაზღვროთ საკვების კალორიულობა საკუთარი ხელით
მკვლევართა კლუბმა ,,ანაბასისისმა“ განახორციელა პროექტი: როგორ შეიძლება
განვსაზღვროთ საკვების კალორიულობა საკუთარი ხელით.
საკვები პროდუქტების ეტიკეტზე მითითებულია ,,ენერგეტიკული
ღირებულება“, რომელიც კალორიებით არის გამოსახული. კალორიების
მიხედვით ურჩევენ დიეტოლოგები პაციენტებს ჯანსაღი კვებისათვის რომელი
საკვები და რა რაოდენობით მიირთვან.

„ცისფერყანწელები“ - ლიტერატურული პროექტის შეჯამება.
გაზაფხულის თბილი დღე დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით და ერთად ყოფნის სიხარულით დაიხუნძლა...
ანაბასისელები მწერალთა სახლს ესტუმრნენ, სადაც დავით სარაჯიშვილის , დიდი მეცენატის , ქართული კონიაკის წარმოების ფუძემდებელის, საზოგადო მოღვაწის, ქიმიისა და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, მრეწველის და ქველმოქმედის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოისმინეს ინფორმაცია. მოსწავლეებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს რეპრესირებულთა სტენდები...

შეღავათიანი აგროკრედიტი
სკოლა ანაბასისის მკვლევართა, სამოქალაქო განათლებისა და ეკოლოგთა კლუბის წევრები, კურატორები თამარ მალაღურაძე, თეა სამხარაძე, ქეთევან ედიბერიძე , ა (ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს იმერეთის რეგიონულ სამსახურს სტუმრობდნენ . მათ გულთბილი მასპინძლობა გაუწიეს სამსახურის მეცნიერ თანამშრომელმა თემურ ქათამაძემ , მაია მახათაძემ.სოფლის განვითარების სააგენტოს იმერეთის რეგიონულ სამსახურის უფროსმა კი დავით ჯინორიძემ საინტერესო პრეზენტაცია წარმოგვიდგინა სოფლის განვითარების სააგენტოს საქმიანობის შესახებ.

9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღეა.
სკოლა ანაბასისში სამოქალაქო განათლების კლუბის, ეკოკლუბის, მკვლევართა კლუბის და მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიური მონაწილეობით განხორციელდა პროექტი „ ორად გაყოფილი მსოფლიო“.

ინტელექტუალური თამაშები თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო გასართობია, რომელიც ხელს უწყობს მეხსიერების განვითარებას და პოტენციური შესაძლებლობების მაქსიმალურ რეალიზებას. საბაზო საფეხურის სტანდარტის მიხედვით, ხელოვნების სწავლების მიზანია, მოსწავლეს აღუძრას ხელოვნების ნაწარმოებთან ,,ურთიერთობის“ სურვილი, უბიგოს აზროვნებისაკენ, შემოქმედებითი აქტივობისაკენ. ასევე მოსწავლეს მისცეს ცოდნა ხელოვნების ისტორიის სფეროში, რათა მან შეძლოს ხელოვნების ნაწარმოების აღქმა, აღძრული ემოციების და შთაბეჭდილებების გაანალიზება, საკუთარი აზრის გამომუშავება და მკაფიოდ ჩამოყალიბება.
ამ მიზნით სკოლა ,,ანაბასისში“ ხელოვნების პედაგოგის ნანა გიორგაძის ხელმძღვანელობით ორ ეტაპად ჩატარდა კონკურსი "რა, სად, როდის?", რომელიც მოიცავდა ხელოვნების ისტორიის საკითხებს.

„ოქროს რიცხვი"

მოსწავლეთა და მასწავლებელთა ყოველწლიური კონფერენცია ქიმიაში „ოქროს რიცხვი ‘’ 2023წლის 14 მაისს გაიმართა აკაკი წერეთლის უნივერსიტეტში. დასავლეთ კონფერენციაში მონაწილეობდა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონის ნორჩ ქიმიკოსთა კლუბის წევრების მიერ განხორციელებული პროექტები. სკოლა ანაბასისის მკვლევართა კლუბმა კონფერენციაზე წარმოადგინა პროექტი „როგორ შეიძლება განვსაზღვროთ საკვების კალორიულობა საკუთარი ხელით“ კლუბის წევრებმა მე-9 კლასის მოსწავლეებმა საბა ბახტაძემ, ანზორ მაღლაკელიძემ და ბექა ფერაძემ წარმოადგინეს საკუთარი ხელით დამზადებული კალორიმეტრებით ჩატარებული კვლევის შედეგები, ისინი დაეყრდნენ იმ ცოდნას, რომელიც ფიზიკის , ქიმიის , ბიოლოგიის სასკოლო კურსში შეიძინეს. პროექტის ხელმძღვანელია ქიმიის პედაგოგი ქეთევან ედიბერიძე.მათი ნაშრომი შეაფასეს კონფერენციის ორგანიზატორებმა . კონფერენციაზე ანაბასისელები სხვა კლუბების ნამუშევრებსაც გაეცნენ და ახალი იდეებიც გაუჩნდათ სამომავლოდ სამუშაოდ. მომავალი წარმატებები მკვლევართა კლუბ „ანაბასისს“

ანაბასისის ეზოს ახალი ბინადარნი!
სკოლა ანაბასისის ეზოს ახალი ბინადარნი ჰყავს . მოსწავლეთა მოერ შეგროვებულმა მაკულატურამ უკვე მეორე სიცოცხლე დაიწყო. მაკულატურიდან მიღებული თანხით ,სკოლის ეკოკლუბელებმა მცენარეები საგულდაგულოდ შეარჩიეს , შეიძინეს და სკოლის ეზოში მიუჩინეს ბინა. გაეცნენ მათი მოვლის წესებს და ცდილობენ სათანადო პირობები შეუქმნან მათ. ეს ლამაზი მცენარეებია :კამელია რომელიც მარადმწვანე ხე-ბუჩქია. მისი 80-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია აზიის ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. ნორჩი ყლორტებისაგან ამზადებენ ჩაის. აღნიშნული მცენარე დიდ ყურადღებასა და მოწონებას იმსახურებს თავისი სილამაზით. მისთვის დამახასიათებელია მოვლის შემდეგი პირობები და ღონისძიებები: პირველ რიგში კამელია მოთხოვნას უყენებს ნიადაგს მისთვის ოდნავ მჟავა ტიპის ნიადაგი.

2022-23 სასწავლო წლის კურდამთავრებულთა ბოლო ზარი ანაბასისში!
დღეს სასკოლო ცხოვრების ბოლო ზარი დაირეკა ანაბასისელი მეთორმეტეკლასელებისთვის!

სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისში წარმატებით
განხორციელდა პროექტი: „ვებრძოლოთ ადიქციას!“
პროექტის ტიპი: ინფორმაციული
პროექტის განხორციელების ვადები: აპრილ-მაისი
პროექტის სამიზნე ჯგუფი: VII- X კლასის მოსწავლეები
კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ
თემასთან/თემებთან: ჯანსაღი ცხოვრება

გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!
ქართული სახელმწიფო საუკუნეების სიღრმეში იღებს სათავეს... ქართველი ერის ხანგრძლივი და სისხლით ნაწერი ისტორია მუდამ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ერის გზაა. ეს ის ფასეულობებია, რომლებიც ასულდგმულებდა ქართველ ერს და აძლევდა ძალას, რათა გამკლავებოდა ათასი ჯურის მომხდურს.
26 მაისს საქართველო დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს.
ეს ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღესასწაულია, რომელიც 1918 წლიდან, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნიდან, იღებს სათავეს.
26 მაისი ყველაზე ძვირფასი დღეა ჩვენს ცნობიერებაში. არაერთი თაობა იბრძოდა საქართველოს თავისუფლების მოპოვებისთვის და განმტკიცებისთვის.
ეს დღე ჩვენია!
მეცხრე კლასის ხელმძღვანელები თეა სამხარაძე და თეა მიქაბერიძე.

ქიმია და მდგრადი განვითარება, ,,მწვანე ქიმია“

სკოლა ანაბასისის მე-9 კლასის მოსწავლეებმა -ეკოლოგთა , მკვლევართა კლუბისა და სამოქალაქო კლუბის წევრებმა მოაწყვეს კონფერენცია (კლუბის ლიდერები: თამარ მალაღურაძე, თეა სამხარაძე, ქეთევან ედიბერიძე) ,, ქიმია და მდგრადი განვითარება" მოსწავლეებმა საინტერესო პრეზენტაციები წარმოადგინეს: ,,ქიმიური დაბინძურებით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემები", ,, სათბურის ეფექტი“, ,,ოზონის შრის გამოფიტვა", ,,მჟავა წვიმები", განსაკუთრებული ყურადღება კი გამახვილდა თემაზე ,,ქიმია და მდგრადი განვითარება; ''პრეზენტატორებმა აღნიშნეს , რომ ქიმია არის მდგრადი ტრანსფორმაციის გასაღები, ორი მნიშვნელოვანი მიზეზის გამო: მისი როლი, როგორც ისეთი პრობლემების გამომწვევი, როგორიცაა გარემოს დაბინძურება ან ჯანმრთელობის დაზიანება, მასიურად და გლობალურად უნდა შემცირდეს. ამავდროულად, ქიმია აუცილებელია ადამიანის კეთილდღეობისთვის.

იმის გამო, რომ ის უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების ფართო სპექტრს სხვადასხვა სფეროსთვის, როგორიცაა ჯანმრთელობა, კვება, კლიმატის დაცვა, მობილურობა, მაგალითად, მედიკამენტები და შესაბამისი მასალები და პროდუქტები, როგორიცაა ზოგიერთი პლასტმასი ან ელექტრონიკა. ქიმიასთან და ქიმიაში მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელი ტრანსფორმაციის სტრატეგიული მიზნები ყოვლისმომცველია.

მდგრადი განვითარების კონცეფციის გამოძახილია ქიმიის ახალი მიმართულება ,,მწვანე ქიმია“. იგი გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩამოყალიბდა და მისი მიზანია ისეთი ტექნოლოგიების შექმნა , რომლებიც ქიმიურ წარმოებას უსაფრთხოს გახდის და ამავდროულად ეკონომიკურად მომგებიანი იქნება. კონფერენციამ აამაღლა მოსწავლეთა ცნობიერება ეკოლოგიურ საკითხებზე.

საერთაშორისო გამოფენა - კონკურსი - "ლეგენდა ტაურაგეზე" დასრულდა . გამოფენა არასამთავრებო ორგანიზაცია ,,ლიეტუველი მეგობრების" ხელმძღვანელის ზეინაბ გველესიანისა და ტაურაგეს ხელოვნების სკოლის დირექტორის იოლანტა კაზლაუზკიანეს ინიციატივით გაიმართა.
საერთაშორისო კონკურსში ევროპის 5 ქვეყანა იღებდა მონაწილეობას. მათ შორის ლიეტუვას, ქალაქ ტაურაგეს სკოლასთან დამეგობრებული საგანმანათლებლო დაწესებულებები ზესტაფონის მუნიციპალიტეტიდან.
ნახატების გამოფენა 1 ივნისს, ქალაქ ტაურაგეში გაიმართა.
ზესტაფონის ქალაქის მერიამ და საკრებულომ საზეიმოდ გადაცა სიგელები და დიპლომები კონკურსის მონაწილე მოსწავლეებს და მათ პედაგოგებს.
სკოლა ანაბასისის 13 მოსწავლის ნამუშევარი მონაწილობდა გამოფენაში, მათ და მათს პედაგოგებს :
მარიამ ჭულუხაძეს, ეკა ჯიმშიაშვილს, თამარ ვეფხვაძეს, ლანა ჩუბინიძეს სიგელები გადაეცათ. მადლობა გამოფენის ორგანიზატორებს! წარმატებები მონაწილეებს!

2023 წელს, საქართველოში პირველად, მე-10, მე-11 და მე-12 **კლასელებისთვის ეკონომიკის** საერთაშორისო სასკოლო ოლიმპიადა ჩატარდა.
კონკურსი 3 ეტაპისგან შედგება, ორი ეტაპი ჩატარდა საქართველოში.
ადგილობრივი ეტაპი მოიცავდა:
1. სკოლის რაუნდს
საგანმანათლებლო პროექტი საქართველოს ბანკის მხარდაჭერითა და GELi . საქართველოს ეკონომიკური წიგნიერების ინიციატივას პარტნიორობით გაიმართა .
ეკონომიკის ოლიმპიადა მოსწავლეებს აცნობს და აახლოვებს ეკონომიკასთან იმ დონეზე, რომელიც მათ პირადი და საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების მიღების პ
2. ეროვნულ რაუნდს როცესში გამოადგებათ.
საქართველოში გამართულ ეკონომიკის საერთაშორისო ოლიმპიადის სკოლის რაუნდში მონაწილეობა 1230-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო.
ოლიმპიადა საქართველოში საერთაშორისო ეკონომიკის ოლიმპიადის ფარგლებში გაიმართა, რომელსაც ჩეხური ორგანიზაცია ეკონომიკური განათლების ინსტიტუტი (INEV) წელს მსოფლიოს 17 ქვეყანაში პარტნიორებთან ერთად ახორციელებს.
აღსანიშნავია, რომ რეგიონიდან მონაწილე ქვეყნებს შორის საქართველო ყველაზე მაღალი აქტივობით გამოირჩეოდა.
სკოლის რაუნდის შედეგები 12 მარტისთვის გახდა ცნობილი, ეროვნულ რაუნდში გადავიდა 230 მონაწილე, მათ შორის სკოლა ანაბასისის მეათე კლასის მოსწავლე ანა ჩუბინიძე.
ანამ 11 ივნისს მონაწილეობა მიიღო ოლიმპიადის ეროვნულ ტურში და დაჯილდოვდა სერტიფიკატით და ფასიანი საჩუქრებით.
გასაუბრების ეტაპზე გამარჯვებული 5 მონაწილე ფინალისტი სექტემბერში სლოვაკეთში საქართველოს სახელით ჩაერთვება საერთაშორისო რაუნდზე ოცამდე ქვეყნიდან შერჩეულ კონკურსანტებთან ერთად!
სერტიფიკატით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ აგრეთვე მეთერთმეტე კლასის მოსწავლე თამარ კაპანაძე, სასკოლო რაუნდში აქტიური მონაწილეობისთვის და სამოქალაქო განათლების პედაგოგი , ეკონომიკის ოლიმპიადის (2023) სკოლის კოორდინატორი თეა სამხარაძე;
მადლობა ოლიმპიადის ორგანიზატორებს საინტერესო შემოთავაზებისთვის და ჩვენი სკოლის პედაგოგს და მოსწავლეებს ეკონომიკის საერთაშორისო ოლიმპიადაში აქტიური ჩართულობისთვის.
წარმატებას ვუსურვებთ თითოეულ მათგანს!
ეკონომიკის ოლიმპიადის გენერალური სპონსორია საქართველოს ბანკი.
ეკონომიკის ოლიმპიადის სპონსორია Economic Fundamentals Initiative და თავისუფალი უნივერსიტეტი - Free University.
ეკონომიკის ოლიმპიადის მხარდამჭერები არიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და Institute of Economic Education (INEV)
ოლიმპიადის მედია პარტნიორია ბიზნეს მედია საქართველო (BMG).
ოლიმპიადის სოციალური მედია პარტნიორია ორჯერ ორი (2X2).
#ეკონომიკისოლიმპიადა

დღე სასწაული სასწაულ ბავშვებთან შედგა! ყველა კლასის გამოსვლა იყო კარგად ორგანიზებული, ლამაზი და საინტერესო! გილოცავთ ანაბასისელებო!

https://fb.watch/lo88pOXoxY/